ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 6 ივნისი, 2018 №132 (7677) ფასი: 50 თეთრი

## რატომ გამოაგზავნა რუსეთის პატრიარქმა ემისრები ილია II-თან

გვ.2




5 ივნისიდან

გილბერტ ჩესტერტონი

მამა ბრაუნის სკანდალური ამბავი

სერია ნამდვილი დეტექტივი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




# ალეკო ელისაშვილი: „სირცხვილია, თეა წულუკიანი თანამდებობაზე რომ რჩება“



## „ხელისუფლება შემოდგომამდე ვერ მიაღწევს, ასე თუ გააგრძელა“

გვ.4

## „საქართველოში მიმდინარე არეულობის უკან სომხური ლობი დგას“



გვ.3



ზაალ კასრელიშვილი: „პოზიციასა და ოპოზიციაში უცხო ქვეყნის აგენტურაა ჩანერგილი“

## როман გოცირიძე: „საპარლამენტო კომისია მხოლოდ დროის გასაწელად შეიქმნა“

რატომ ამბობენ ნაციონალები უარს კომისიაში მუშაობაზე



გვ.2

სამართალი გვ.7



## პროკურორი: „მოწმემ ისაუბრა იმაზე, თუ როგორ შემოვიდა ახმედ ჩატაევი საქართველოში“

ადვოკატი მოდებაძე: „იდოიძეს ბრალი უნდა მოეხსნას“

„ამ შემთხვევას მილენა მითაიშვილის საქმეს ვუკავშირებ“



## ადვოკატ ინგა არახამიას ბინას იარაღიდან ესროლეს

ეკონომიკა გვ.6

## ჯორჯიან ეარვეისი საპროტესტო აქციას აანონსებს

## მეტროს მემანქანეები უვადოდ გაფიცვას აპირებენ



ირაკლი ხმალაძე: „მეტროს გაჩერების გამო დღიური ზარალი 40-45 ათასი ლარია“

## ქართული ღვინის ექსპორტი 27%-ით გაიზარდა



ISSN 1987-9385

5 რატომ დაეძაბა აფხაზეთის ოკუპირებულ რეგიონს ურთიერთობა სომხეთთან

4 მიხეილ სააკაშვილი: „ივანიშვილი საქართველოს საერთაშორისო პოზიციების წინააღმდეგ ძალიან დიდ დარტყმას ამზადებს“

5 ხილის, ზეთის, ცხიმის, თევზეულის, ხორცის, ყავის ფასები გაიზარდა

6 თბილისში პარკირების საშვის შეძენისა და ჯარიმების გადახდის წესი იცვლება

# რომან გოცირიძე: „საპარლამენტო კომისია მხოლოდ დროის გასაწელად შეიქმნა“



## რატომ ამბობენ ნაციონალები უარს კომისიაში მუშაობაზე

ნათია ხურცილავა

**ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე რომან გოცირიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში განმარტავს, თუ რატომ არ იღებს ნაციონალური მოძრაობა პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მუშაობაში მონაწილეობას.**

***– ბატონო რომან, რატომ ემიჯნება ნაციონალური მოძრაობა პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიას?***

– ჩვენ არაერთხელ განვაცხადეთ, რომ ამ კომისიას არ ვუყურებთ, როგორც წმინდა სამართლებრივ პროცედურას. ამ კომისიას პოლიტიკურ კონტექსტში განვიხილავთ. დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში ამ კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება არამიზანშეწონილად ჩავთვალეთ. თუკი რამე შედეგი ექნება კომისიას და წარმატებას მიაღწევენ, მხოლოდ გაგვიხარდება და წარმატების მილოცვაც შეგვიძლია. თუმცა, როდესაც ამხელა კომისიაში საპარლამენტო უმრავლესობას მხოლოდ 5 ადგილი აქვს, აშკარა უმცირესობაშია და, მიუხედავად ამისა, ამ კომისიის შექმნა ისტორიულ მოვლენად უნდათ წარმოაჩინონ, თითქოს პარლამენტში არნახული რამ ხდება დემოკრატიის კუთხით, მათ ავიწყდებათ, რომ კომისიის შექმნა აქამდე 22-ჯერ იყო მოთხოვნილი, მაგრამ ყოველთვის დაბლოკეს.

***– რაზე მიანიშნებთ?***

– ამ კომისიის შექმნასაც, როგორც ჩანს, ხელისუფლების მხრიდან გარკვეული პოლიტიკური მიზნები აქვს.

***– რა მიზნები?***

– დღევანდელი კრიზისული ვითარების გადაგორება და არსებული რეალობის დეაქტუალიზაცია. ვითარება იმაზე უფრო მძიმეა, ვიდრე ეს ხელისუფლებას წარმოუდგენია. აგერ უკვე არასამთავრობოები და არა პოლიტიკური პარტიები, რასაც ველარ დაგვაბრალებენ, წულუკიანის გადაყენებას ითხოვენ. ძალოვან სტრუქტურებში უმძიმესი ვითარებაა. ეს სისტემა მართლაც უნდა დაინგრეს. ამ პროცესში მხოლოდ რაღაც კომისიურ-კაბინეტური მუშაობით ფონს ვერ გავალთ. ჩვენ, რასაკვირველია, პარლამენტის სხდომაში მონაწილეობას მივიღებთ, პატივს ვცემთ პარლამენტის პროცედურას, ჩვენს მოვალეობას შევასრულებთ, მაგრამ კენჭისყრაში მონაწილეობას არ მივიღებთ.

***– ანუ თქვენ ამბობთ, რომ კომისია ერთგვარი მაშველი რგოლია?***

– დიახ. ეს იყო გადარჩენის ინსტინქტით ნაკარნახევი დათმობაზე წასვლა. ეს ითვალისწინებს პროტესტის ქუჩიდან პარლამენტის კედლებში დაბრუნებასა და ბიუროკრატიულ ყოველდღიურობაში მოქცევას. ეს არის დროის გაწელვაც, რადგან კომისია 3 თვე მუშაობს, ამ დროის განმავლობაში ვილაცებს დაკითხავენ, ხმაურიც იქნება, შოუც იქნება, მაგალითად, პარლამენტში გამოკითხვაზე ყოფილი მთავარი პროკურორი შოთაძე რომ მოვა, შოუს ელემენტები იქნება. კომისია მუშაობის მიწურულს მკაცრ დასკვნას დადებს, ვინაიდან უმრავლესობას კომისიაში ოპოზიცია წარმოადგენს, მაგრამ, როგორც ორჯერ ორი ოთხია, ამ კომისიის მუშაობას არავინ გააგრძელებს 3 თვის შემდეგ.

***– აღსრულების ნაწილში გაქვთ ეჭვი?***

– დიახ, ამის შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნები მოდის და ეს კომისიაც ისტორიას ჩაბარდება. არსებული პოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე განვიხილავთ ამ კომისიას. თუ ასე არ არის, რატომ აქამდე არც ერთხელ ხელისუფლებას არ უნდოდა, რომ გახმაურებული საქმეები გამოძიებული ყოფილიყო, რატომ აგდებდა ის ყოველთვის პარლამენტში კომისიის შექმნის მოთხოვნას.

ახლა რატომ გაუსკდა დემოკრატიულობის ბუშტი?! იმიტომ, რომ ხელისუფლება ღრმა პოლიტიკურ კრიზისში შევიდა, მთავარ პროკურორს მოუხდა თანამდებობიდან გადადგომა. არასამთავრობო სექტორი უკვე იუსტიციის მინისტრის გადადგომას ითხოვს, პოლიტიკური პარტიები კი – მთავრობის გადაყენებას.

ხელისუფლებაში ალბათ იქნება ადამიანი, რომელსაც კარგად აქვს გააზრებული ქართული ანდაზები. ერთ-ერთია „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“. ასე მოუვიდა პროკურატურას, მათ დროულად მოახდინეს რეაგირება და მთავარი პროკურორი გადადგა. რაც უფრო მეტად გააჯანჯლებს წულუკიანი ამ პროცესს, ის მთელ მთავრობას ჩაითრევს. მთავრობის გადაყენების საკითხი დადგება და წულუკიანს მთავრობასთან ერთად მოუწევს გადადგომა. დღეს მას აქვს შანსი, გადადგეს. ფაქტობრივად, ეს სტრუქტურები გამოდიან დამნაშავეების მფარველებად. სწორედ ამ მფარველობის შედეგი იყო ის, რომ ვერ იქნა ეს საქმე გამოძიებული.

***– ნაციონალური მოძრაობის მხრიდან კვლავ აქტუალურია მთავრობისა და პრემიერის წასვლის მოთხოვნა?***

– დიახ. ამ შემთხვევაში პრემიერ-მინისტრის გადაყენებაზე უფრო მნიშვნელოვანია თუნდაც სოზარ სუბარისა და თეა წულუკიანის გადაყენება, მაგრამ ჩვენ სელექციურად არ ვუდგებით ამ საკითხს. ვინაიდან პრემიერი მთავრობის თავმჯდომარეა, ცხადია, ის არის პასუხისმგებელი, თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პრემიერი თანამდებობიდან გადადგეს და თეა წულუკიანი ან სოზარ სუბარი თანამდებობაზე დარჩნენ.

***– მთავარი პროკურორის შერჩევა დააანონსა იუსტიციის მინისტრმა. ნაციონალური მოძრაობის პოზიცია როგორია, შეიძლება, მთავარი პროკურორის შერჩევის კონსულტაციებში მონაწილეობა მიიღოთ?***

– სასაცილოა, ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიამ წარმოადგინოს საკუთარი ან სხვა ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარე, როგორი ღირსეულიც არ უნდა იყოს ის, მთავარი პროკურორის კანდიდატად და უბიძგოს ოპოზიციურ პარტიას ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ან ხელისუფლებაში დაბრუნებისკენ.

***– კენჭს „ევროპული საქართველოსკენ“ ისვრით?***

– ეს არ არის სერიოზული, მეტიც, ძალიან არასერიოზულია, რადგან ხელისუფლება, ივანიშვილი, პროკურორად არასდროს დანიშნავს ისეთ ადამიანს, რომელიც კონტროლქვეშ არ იქნება. შესაძლებელია, იყოს განსხვავებული ტიპაჟი, საზოგადოებისთვის უფრო მისაღები ან რაღაცით მოსაწონი, მაგრამ ის მომენტალურად მოიხარშება იმავე ქვაბში და იმ სისტემის ნაწილი გახდება.

არასამთავრობო სექტორის ამ პროცესში ჩართულობა გარკვეულწილად ამ პროცესს ანეიტრალებს და მორჩილი პროკურორის ნაცვლად შეიძლება შედარებით მეტი ღირსების მქონე ადამიანი მივიღოთ. თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, არსებითად არაფერს ცვლის. მთავარი პროკურორი და მთავრობა ერთიანი შემადგენელი ნაწილია და მხოლოდ მაშინ შეიძლება, ეს მოცემულობა შეიცვალოს, თუკი ხელისუფლების განახლება მოხდება.

# რატომ გამოაგზავნა რუსეთის პატრიარქმა ემისრები ილია II-თან

შორენა მარსაგიშვილი

**რუსეთის საპატრიარქოს წარმომადგენლებმა თბილისში ვიზიტებს მოუხშირეს. რამდენიმე თვის წინ პატრიარქ კირილის წარმომადგენელი საქართველოს საპატრიარქოს სთხოვდა, აფხაზურ ეკლესიაში მიმდინარე პრობლემების მოგვარებაში დაგვეხმარეო. ბევრი მცდელობის მიუხედავად, რუსეთის საპატრიარქომ, რომელიც სიტყვით საქართველოს მთლიანობას ცნობს, აფხაზური ეკლესიის „დათრევა“ ვერ შეძლო.**

რუსეთის პატრიარქის ხელის ფათურმა აქ ეკლესია ორად გაყო. ახალგაზრდა სასულიერო პირები ღიად გაემიჯნენ ბესარიონ აპლიას ჯგუფს, რომელიც პატრიარქ კირილის დაქვემდებარებაშია.

რუსეთის საპატრიარქო აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობას ვერ აღიარებს, რადგანაც ამაზე თანხმობა დედა-ეკლესიამ ანუ საქართველოს საპატრიარქომ უნდა განაცხადოს. რამდენიმე წლის წინ კირილის ემისრებმა ჩვენს საპატრიარქოს შეაპარეს, აფხაზეთის ეკლესია დროებით მმართველობაში გადმოგვეცითო.

რამდენიმე თვის წინ რუსულმა მხარემ უკვე ერთობლივი კომისიის შექმნა შემოგვთავაზა. სამუშაო ჯგუფის შეხვედრაც გაიმართა და რამდენიმე მღვდელმთავარიც მიავლინეს მოსკოვში. დღემდე ცნობილი არაა, თუ რა მოლაპარაკებები გაიმართა ამ საკითხზე. თეოლოგების ნაწილი ეჭვობს,



რომ რუსები საქართველოს საპატრიარქოს დახმარებით ცდილობს, რომ აფხაზეთის ეკლესია დაითრიოს.

ცოტა ხნის წინ რუსეთის საპატრიარქოს კვლავ დასჭირდა ქართული ეკლესიის დახმარება. უკრაინის ეკლესიამ, რომელიც რუსეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებაშია, დამოუკიდებლობა მოითხოვა. უკრაინელმა სასულიერო პირებმა მხარდაჭერა ქართული ეკლესიასაც სთხოვეს.

რუსეთის საპატრიარქო უკრაინის ეკლესიის გამოყოფას ბუნებრივია არ ეთანხმება და ეტყობა საქართველოსაც ურჩიეს, ხელი არ წაუცდეთ უკრაინის ეკლესიის აღიარებისკენ. სხვა შემთხვევაში პატრიარქი კირილი ილია II-თან გავლენიან მღვდელმთავარ ილარიონს არ გამოაგზავნიდა.

რუსი სტუმრის ვიზიტთან დაკავშირებით, საპატრიარქომ მოკლე განცხადება გაავრცელა, სადაც არაფერია ნათქვამი, რომ შეხვედრაზე ილია II-ს საქართველოში რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელი დეკანოზი ვლადიმერ ალექსანდროვი გააცნეს.

– საქართველოს საპატრიარქოს ერთდღიანი ვიზიტით ეწვია რუსეთის ეკლესიის საგარეო ურთიერთობათა განყოფილების თავმჯდომარე, მიტროპოლიტი ილარიონ (ალფეევი), ორ თანმხლებ პირთან ერთად. სტუმრობის მიზანი იყო უკრაინის ეკლესიის გარშემო ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან მიმართებაში რუსეთის ეკლესიის პოზიციის გაცნობა.

უახლოეს პერიოდში, ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ეკლესიას ეწვევა მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენლობა, – ნათქვამია განცხადებაში.

განცხადება გაავრცელა რუსეთის საპატრიარქომაც. სადაც ვკითხულობთ, რომ დეკანოზი ვლადიმერ ალექსანდროვი, რომელმაც საჭიროების შემთხვევაში საქართველოში რუსული ეკლესიის ინტერესები უნდა დაიცვას, ილია II-ს პირადად გააცნეს.

რუსი ეგზარხოსის ვიზიტს ერთი საინტერესო ამბავი დაემთხვა. ოკუპანტებმა დირბის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, მამა იოანე – ნიკოლოზ ოხანაშვილი გაიტაცეს.

ნიუპოსტის ცნობით, მამა იოანე სოფელ დვანში იმყოფებოდა, სადაც ტაძრის მშენებლობა მიმდინარეობს, როდესაც ის რუსმა ოკუპანტებმა დააკავეს.

...

საქართველოში რუსი ეგზარხოსების ვიზიტს ვრცელი განცხადებით ეხმაურება დეკანოზი ილია ჭიღლაძე. ის იმედოვნებს, რომ საქართველოს საპატრიარქო რუსეთის ნებას არ დაჰყვება და უკრაინის ეკლესიას დაუჭერს მხარს.

– 100 წელია, 1917 წლიდან მოყოლებული დღემდე, იბრძვის მრავალტანჯული უკრაინელი ერი ეკლესიური თავისუფლების – ავტოკეფალიის მოსაპოვებლად, ასი წელია, მოსკოვის იმპერიალისტური საპატრიარქო თავს არ ანებებს მას.

ჩვენ, ქართველებს, გაგვიმართლა, თავი დავაღწიეთ მათ მმართველობას, აი უკრაინელების მსოფლიო აღიარების პროცესი კი ჩვენ თვალწინ ხდება. როგორც წმ. კირიონ მეორე ბრძანებდა, არაფერია იმაზე უფრო საშინელი, ვიდრე ეკლესიური მონობაო.

დიახ, მართლაც სულიერი მონობა, ფიზიკურზე აღმატებული კატასტროფაა ერისათვის, გინდ პიროვნებისათვის. უკრაინა და მისი დედაქალაქი კიევი, რომელიც არის აღმოსავლეთ სლავების სამ ერად (უკრაინელები, რუსები, ბელორუსები) დაყოფამდელი პერიოდის ძირი და ცენტრი, მათი ქრისტიანობის აკვანი და მეტროპოლია, დღეს, 1589 წელს გამოჩეკილი მოსკოვის იმპერიალისტურად იდეოლოგიზირებული საპატრიარქოს არაკანონიკურ ტყვეობაშია მოყოლებული 1685 წლიდან. უკრაინის (და რუსეთის) დედა-ეკლესიამ, კონსტანტინოპოლის ბერძნულმა მსოფლიო საპატრიარქომ უკრაინის ხელისუფლების და მრავალმილიონიანი ერის მიმართვების საფუძველზე დაიწყო კანონიკური პროცესი მათთვის ავტოკეფალიის საბოძებლად, ისე, როგორც ერთ დროს, 1589 წელს რუსეთს უბოძეს. მოსკოველები ძრწიან და ხტიან, მთელს საპატრიარქოებს მოედნენ მათი დელეგაციები რუსეთის პოზიციის დაცვის მოთხოვნით.

ჩვენთან 4 ივნისს ჩამობრძანებულა ურცხვად და უტიფრად მიტრ. ილარიონ ალფეევი. ეს უნამუსოები, აფხაზეთის და ცხინვალის ეპარქიები რომ დეფაქტოდ ხელთ იგდეს და პანტაპუნტით შემოყარეს თავიანთი მღვდლები, ილორის და დრანდის დიდისტორიული ტაძრების დამახინჯება-გარუსებაც რომ იკადრეს, ხოლო საქართველოს პატრიარქს არსად, არც ოფიციალურ გამოცემებში, არც წირვა-ლოცვაში ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტად არ იხსენიებენ ცოცხალი თავით, და პუტინს ბოლომდე ათელინებენ თავიანთ ეკლესიასაც და ჩვენს ქვეყანასაც, რა ნამუსით გვთხოვენ უკრაინელებს ზურგში მახვილი ჩავცეთ??? საქართველოს საპატრიარქომ უნდა უერთგულოს ჩვენი დიდი პატრიარქის ლეონიდე ოქროპირიძის პოზიციას და სრული მხარდაჭერა გამოუცხადოს უკრაინელებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისტორიის ფურცლებს დიდი შავი ლაქა მიემატება.

ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს მოსკოველების მუქარისა, რომ სოხუმსა და ცხინვალში რუს ეპისკოპოსებს დასვამენ ოფიციალურად. მაიკოპიდან და ვლადიკავკაზიდან დამწყემსავენ მათი ეპისკოპოსები, თუ ოკუპირებული ადგილებიდან, შესაკრებთა გადანაცვლებით ჩვენთვის, ქართველებისთვის, ჯამი არ იცვლება, – აღნიშნავს დეკანოზი ილია ჭიღლაძე.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „საქართველოში მიმდინარე არეულობის უკან სომხური ლობი დგას“

შორენა მარსაგიშვილი

**ვინ დგას საქართველოში მიმდინარე აქციების უკან, რა კავშირი აქვს სირიის მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს აღიარებასთან სომხურ ლობის, ვინ უნდა გაუშვას სახლში ივანიშვილმა, როდის შეიცვლება მთავრობა? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.**

## ზაალ კასრელიშვილი: „პოზიციასა და ოპოზიციაში უცხო ქვეყნის აგენტურაა ჩანერგილი“





### „ივანიშვილი ხელისუფლების გასაწმენდად დაბრუნდა“

***– თბილისში, რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციებთან დაკავშირებით სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა. თქვენ რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?***

– რას ვფიქრობ და აუცილებლად უნდა დაისაჯონ მკვლელები, ისინი აქამდეც უნდა დაესაჯათ.

***– გამოდის, რომ თქვენ ამ აქციებს სამართლიანად თვლით.***

– მე ვფიქრობ, რომ სამართლიანი მოთხოვნები შვილმოკლულ მშობლებს აქვთ – ისინი მკვლელების დასჯას ითხოვენ. რაც შეეხება აქციებს, ისინი მათი ორგანიზებული არ არის.

***– აბა ვისი ორგანიზებულია? თქვენც ფიქრობთ, რომ ამის უკან ყოფილი ხელისუფლება დგას?***

– არა მარტო ყოფილი ხელისუფლება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოში მიმდინარე არეულობის უკან ორი ნაკადი დგას. ერთი ნაკადი გახლავთ ის პროცესები, რომელმაც სირიას აფხაზეთის და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა აღიარებინა. ამით დამასკომ სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდო თავი და გაიშიფრა.

საქართველოში მიმდინარე არეულობის დინების მეორე შენაკადი ყოფილი ხელისუფლების მიერ ჩატარებული გენერალური რეპეტიციაც გახლავთ, რომლის პრემიერაც საპრეზიდენტო არჩევნების დღეს უნდა გაიმართოს. ამ დღეს ნაციონალური მოძრაობა არჩევნების გაყალბების საბაბით გამოვა ქუჩაში და ხელისუფლების გადადგომას მოითხოვს.

***– არ გეჩვენებათ, რომ ამ რეპეტიციისთვის „ქართული ოცნება“ თავად აძლევს მასალებს ყოფილ ხელისუფლებას?***

– მეჩვენება კი არა, ეს ასეა. ეს რომ ასეა, ამაზე უკვე საერთაშორისო თანამეგობრობაც ლაპარაკობს. მათი თქმით, ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, გარედან იმართება და კონკრეტული ადრესატებიც ყავთ. დასავლეთში სახელებს და გვარებს არ ასახელებენ, მაგრამ გავლენიანი პოლიტოლოგები ამბობენ, რომ ამ ყველაფრის უკან დგას სომხური ლობი. საუბარია როგორც არეულობის მოწყობაზე, ასევე სირიის მიერ აფხაზეთის და სამაჩაბლოს აღიარებაზე.

***– თქვენ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

– ჩვენ რას ვფიქრობთ სომხურ ლობიზე, ეს მეორეხარისხოვანია. ახლა მთავარია იმის გარკვევა, საქართველოს ხელისუფლებაში ვინ მუშაობს სომხურ ლობიზე. ხელისუფლებაში საეჭვო ხალხი რომ არ ყოფილიყო, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობა უკვე გამოძიებული იქნებოდა. ამ საქმის გამოძიება სახელმწიფოს მეტ ავტორიტეტს შესძენდა. საერთაშორისო თანამეგობრობა დაინახავდა, რომ საქართველოს ხელისუფლება კრიმინალს ებრძვის და დამნაშავეებს ციხეში უშვებს.

ამით იმის თქმა მინდა, რომ თუ ვინმე რამეს აშავებს, არა აქვს მნიშვნელობა, ის ხელისუფლებაშია თუ ოპოზიციაში, პირდაპირ ურტყამს ევროატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრიანებას.

ამ დამნაშავეების ერთუჯრედიანმა თავებმა ვერ გადახარშეს და ვერ გაშიფრეს, რა ხდება გლობალურად. შესაბამისად, ვერც კი ხვდებიან, რომ ქვეყანას პრობლემებს უქმნიან.

მეტსაც გეტყვით, შეიძლებოდა რაიმე ისეთი ეკონომიკური პროექტი დაგვეწყო, რომელიც საქართველოს მოსახლეობას იმედს მისცემდა, რომ ქვეყანაში სოციალური მდგომარეობა გაჯანსაღდებოდა. ამის გაკეთება თავისუფლად შეიძლება, მაგრამ არ აკეთებენ. აუცილებლად უნდა გავარკვიოთ, რატომ არ აკეთებს ამას ვიღაცა – საქართველოს მტერია თუ უცოდინარი.

***– თქვენ რას ფიქრობთ, ის ვიღაცა მტერია თუ უცოდინარი?***

– საქართველოს მედია-სივრცეში ჩვენ არაერთხელ გაგვიკეთებია განცხადება, რომ ხელისუფლებასა და ოპოზიციაში მოკალათებული არიან ქართველი ერის და ქართული სახელმწიფოებრიობის მტრები. ბოლშევიკური გაგებით მტრებზე არ ვსაუბრობ, მხედველობაში მყავს საკმაოდ კვალიფიციური აგენტები, რომელთა უკანაც სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურები დგანან. ჩვენი ვალია, ისინი ვამხილოთ.

***– ხელისუფლებაში ჩანერგილ აგენტებზე არაერთხელ გისაუბრიათ, მაგრამ მათ ვინაობას არასდროს ასახელებდით და ყოველთვის ამბობდით, რომ ეს სათანადო სამსახურების საქმეა. ახლაც იგივეს გვეტყვით?***

– რა თქმა უნდა. უცხო ქვეყნის აგენტურის გამოვლენა სათანადო სამსახურების საქმეა. ჩვენ ბევრი რამე ვიცით, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს უფლება, ვიღაცის აგენტობა გამოვიძიოთ.

***– მაშინ ის გვითხარით, სათანადო სამსახურები რატომ არ ამხელენ ამ აგენტებს?***

– სათანადო სამსახურები სიამოვნებით გააკეთებენ ამას, მათ ყველა აგენტზე აქვთ მონაცემები, მაგრამ ამისთვის საჭიროა პოლიტიკური ნება.

***– გინდათ თქვათ, რომ პოლიტიკური ნება არ არის?***

– სამწუხაროდ, აგენტების გამოსავლენად პოლიტიკური ნება არ არსებობს.

***– პოლიტიკურ ნებაში რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ კანონი არ არსებობს. ელემენტარულად სახელმწიფო ღალატის შესახებ არ გვაქვს კანონი. ასევე არ არსებობს კანონი ცილისწამების შესახებ. არც ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის შესახებ გვაქვს კანონი. ისიც კი არაა განსაზღვრული, თუ რას ნიშნავს ანტისახელმწიფოებრივი ქმედება. ასეთი განმარტება ამერიკაშიც არის, ევროპაში და აზიაშიც.

***– გასაგებია, რომ კანონი არ არსებობს, მაგრამ თუ იციან, რომ ესა თუ ის პირი აგენტია, არაფერი არ უნდა იღონონ? ხომ დაგვექცა ეს ქვეყანა თავზე.***

– კანონის გარეშეც შეუძლიათ აგენტებთან ბრძოლა, მაგრამ აქ მთავარი პრინციპია.

***– რა პრინციპი?***

– უცხო ქვეყნის სპეცსამსახური აგენტს რომ ჩაგინერგავს პოზიციაში ან ოპოზიციაში, იმას კიდევ მინიმუმ ვიღაც ორი აზღვევს. აგენტის დაკავების შემდეგ, ის ორი აგრძელებს საქმიანობას. ეს არის სერიოზული ქსელი და ამას სერიოზული მიდგომა სჭირდება. პოლიტიკური ნება თუ არ იქნა, აგენტებთან დაწყებულ ბრძოლას შეიძლება გადაყვე.

პოლიტიკური ნება არ არსებობს და აგენტებიც თავისუფლად მოქმედებენ, შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფოზე ყველა მიმართულებით მიმდინარეობს შეტევა. ყველა ის ნაკლი, რის გამოც საქართველოს მოსახლეობა 2012 წელს ნაციონალებს აუჯანყდა, ყველა ის შეცდომა და დანაშაული, რის გამოც გადაირჩიეს წინა ხელისუფლება, მათმა პიარ-მენეჯერებმა ჩამოწერეს და 2012 წლიდან დღემდე მისდევენ რიგითობით. თავიანთი ჩადენილის გადაფარვას „ოცნების“ შეცდომებით ცდილობენ.

წინა ხელისუფლება პრაქტიკულად გირგვლიანის საქმემ შეიწირა და ახლა ნაციონალებმა ამის ალტერნატივა გააჩინეს. ნაციონალებს სერიოზულად დაარტყა ლაფანყურის სპეცოპერაციამ და რამდენიმე თვის წინ „ოცნება“ პანკისის ამბებშიც ჩაითრიეს.

ვიცი, რომ ძალიან ბევრი ცდილობს საქართველოში სიტუაციის არევას, მაგრამ მათი გულის გასახეთქად მინდა ვთქვა, რომ ფეხებს ვერავინ ვერ მოგვაჭამს.

***– ამაში დარწმუნებული ხართ?***

– ასეთი დარწმუნებული არასდროს ვყოფილვარ და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ფეხებსაც ვერ მოგვჭამენ.

***– ასე იმედიანად რატომ ხართ განწყობილი?***

– იმიტომ, რომ კარგად ვიცი ქართველების ბუნება. 90-იან წლებში სულგაყიდული და კორუმპირებული მთავრობა გვყავდა, მაგრამ მაშინაც კი ვერ გაგვტეხეს. მაშინ საქართველოს დედამიწის ზურგზე პატრონი არ ყავდა. ახლა საქართველოს გაძლიერება მთელი მსოფლიოს ინტერესებშია. აქედან გამომდინარეობს ჩემი ოპტიმიზმი.

წამოიწიოს ირანის პრობლემამ და ნახავთ, რომ საქართველოს ფასი ერთი ასად კი არა, ერთი ათასად გაიზრდება.

***– საქართველოს ფასი შეიძლება მართლაც გაიზარდოს, მაგრამ რატომ გგონიათ, რომ ეს არეულობისგან დაგვიფარავს. თავად ამბობთ, რომ პოზიციაშიც და ოპოზიციაშიც უცხო ქვეყნების აგენტები არიან და მათ გამოსავლენად პოლიტიკური ნება არ არსებობს.***

– აგენტები მრავლად არიან, მაგრამ საქართველოში არეულობა მსოფლიოს აღარ აწყობს. 1991-1992 წლების სამხედრო გადატრიალება რუსეთმა მოღალატე ქართველების ხელით მოაწყო, მაგრამ ეს პროცესი სხვა ქვეყნებისთვისაც მისაღები იყო. ახლა საქართველოს სულ სხვა ფასი აქვს და დასავლეთს აქ სიმშვიდე სჭირდება. ამიტომაც არაფერიც არ აირევა.

***– ახლა რაც ხდება, არეულობა არ არის?***

– ქვეყანაში საკმაოდ მძიმე ვითარებაა, მაგრამ ეს არეულობა არ არის. მიმდინარე პროცესების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაღაც ძალებს ქვეყანა ვადამდელი არჩევნებისკენ მიჰყავთ. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, საქმე ვადამდელ არჩევნებამდე თუ მივიდა, მას აუცილებლად მოჰყვება რევოლუცია, რაც საქართველოს ნამდვილად არაფერში სჭირდება.

***– ზემოთ თქვით, რომ ამ პროცესების და სირიის მიერ აფხაზეთ-სამაჩაბლოს აღიარების უკან სომხური ლობი დგასო და რა ჭირი უნდათ?***

– რა ჭირი უნდათ და ქართველების ზურგს ამოფარებულებს უნდათ, რომ რუსეთის გავლენიდან გამოძვრნენ. ყველაფერს აკეთებენ, რომ ამით საქართველო დაზარალდეს.

როგორც კი პროდასავლური ძალები მოვიდნენ სომხეთის ხელისუფლებაში, კრემლი ეგრევე აიღრინა. სომხურმა ლობიმ სირიას აფხაზეთი და სამაჩაბლო აღიარებინა.

ეს გააკეთეს იმისთვის, რომ საქართველო გამწარებულიყო და რუსეთის ლანძღვა-გინება დაეწყო.

***– რუსეთს ისედაც ვლანძღავთ და ვაგინებთ.***

– ამ შემთხვევაში უფრო მწვავე რეაქციას ელოდნენ. სომხური ლობი იმედოვნებდა, რომ სირიის გადაწყვეტილების შემდეგ, საქართველო რაიმე ანტირუსულ გადაწყვეტილებას მიიღებდა. ამას რუსეთის მხრიდანაც ექნებოდა სათანადო რეაქცია. ამასობაში სომხეთის პროდასავლური ხელისუფლება დროებით მიავიწყდებოდა კრემლს. ამის პარალელურად სომხურმა ლობიმ შიგნითაც აგვირია სიტუაცია.

***– თქვით, რომ სომხურმა ლობიმ გათვალა, საქართველო რაიმე ანტირუსულ გადაწყვეტილებას მიიღებდა. სამწუხაროდ, ოფიციალური თბილისი დამასკოს აღიარებას მშვიდად შეხვდა. ხალხს რაც შეეხება, ჟარგონის ენით რომ ვთქვათ, დავიკიდეთ.***

– მე ვერ დაგეთანხმებით, რომ დავიკიდეთ. ამას აუცილებლად უნდა გაეცეს სათანადო პასუხი. სირიამ ამ გადაწყვეტილებით თავი სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდო. მიმაჩნია, რომ მათ ამაზე პასუხი ძალიან მკაცრად უნდა ვაგებინოთ. მათ აღიარების საფასური უნდა გადაიხადონ.

***– სირიას პასუხი როგორ უნდა ვაგებინოთ?***

– საქართველოს ტერიტორიაზე არც ერთი სირიელი არ უნდა შემოვიდეს, მათ შორის, არც როგორც ტურისტი. მე არ მძულს სირიელი ხალხი, მაგრამ მათმა ხელისუფლებამ ზურგში მახვილი ჩასცა საქართველოს. ამის გამო მათ ფასი უნდა გადაიხადონ. დროა, ყველას მოვთხოვოთ პასუხი.

***– ზემოთ თქვით, რომ სირიას აფხაზეთ-სამაჩაბლო სომხურმა ლობიმ აღიარებინა, ამბობთ, რომ ამის გამო საქართველო სირიის მოქალაქეებისთვის უნდა ჩავკეტოთ. თქვენი პასუხიდან გამომდინარე, სომხეთის მოქალაქეებსაც უნდა დავუწესოთ შეზღუდვები.***

– სომხეთთან დაკავშირებით ცოტა სხვანაირად არის საქმე. სომხური ლობი სომხეთის ხელისუფლება არაა. ერთია, რას ფიქრობენ ისინი და მეორეა, რა პოზიცია აქვს ოფიციალურ ერევანს.

***– თქვენი აზრით, ოფიციალური ერევანი სომხური ლობის ქმედებებს დაგმობს?***

– სომხეთის ხელისუფლებას არსად არ უთქვამს, რომ ის აფხაზეთის და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობას ცნობს. ამის მცდელობა თუ ექნებათ, მაშინ გზა აუცილებლად უნდა ჩავუკეტოთ. ახლა ერევანი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს.

***– სომხეთის თემაზე ვსაუბრობთ და რას ფიქრობთ რამდენიმე დღის წინ რუსი პოლიტოლოგების პროგნოზზე, ისინი ქართულ-სომხურ დაპირისპირებას ელოდებიან. ამბობენ, რომ ჯავახეთი მალე მეორე ყარაბაღად გადაიქცევა.***

– კრემლი დიდი ხანია ცდილობს ამის გაკეთებას, მაგრამ არ გამოსდის. ახლა სულ არ გამოუვა. საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების ქვეშაა და ამას დასავლეთი არ დაუშვებს.

ახლა მთავარია, ქვეყანაში როგორ განვითარდება მოვლენები. ქვეყანაში თუ უმართავი პროცესები წავიდა და მთავრობიდან მოღალატეები არ წავიდნენ, სახელმწიფო დასუსტდება და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ქვეყანა თუ დაასუსტეს, ჯავახეთსაც აგირევენ და სხვა კუთხეებსაც.

მინდა მჯეროდეს, რომ ძალიან მალე ხელისუფლება გაიწმინდება. ბიძინა ივანიშვილი სწორედ ამიტომ დაბრუნდა პოლიტიკაში.

***– თუ გასაწმენდად დაბრუნდა, რატომ არ იწყებს წმენდას?***

– ამის გაკეთება ასეთი ადვილი არ არის, მაგრამ პროცესი აუცილებლად დაიწყება, მთავრობის შემადგენლობაც შეიცვლება.

***– როდისთვის ელოდებით ცვლილებებს?***

– საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. წინ ბევრი პრობლემა გველოდება, მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდება. საქართველოში არეულობას და ქაოსს არავინ დაუშვებს. ჩვენი ფასი დიდი ხანია, გაიზარდა. საქართველოში სიმშვიდე ახლა მთელი მსოფლიოს ინტერესში შედის.

# ალეკო ელისაშვილი: „სირცხვილია, თეა წულუკიანი თანამდებობაზე რომ რჩება“

ნონა ცაბაძე



**„ახალი თაობის“ კითხვებს საკრებულოს ყოფილი დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი პასუხობს.**

***— ალეკო, არასამთავრობო ორგანიზაციები, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები კატეგორიულად მოითხოვენ, რომ ახალი მთავარი პროკურორი თეა წულუკიანმა არ დანიშნოს და ბევრი მასაც გადადგომისკენ მოუწოდებს. აბა ვინ უნდა შეარჩიოს და დანიშნოს გენერალური პროკურორი?***

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მთავარ პროკურორად ადეკვატური და დამოუკიდებელი ადამიანი გავიდეს. დღეს ეს პროცესი მიდის და არავითარ შემთხვევაში მართლმსაჯულების სისტემის კრახის ავტორი, თეა წულუკიანი არ უნდა არჩევდეს ახალ მთავარ პროკურორს. ეს არის ნონსენსი!

***— ვინ უნდა შეარჩიოს?***

— სხვამ, მაგრამ არა თეა წულუკიანმა! უბრალოდ სირცხვილია, თეა წულუკიანი რომ რჩება თანამდებობაზე. მისი ოთხჯერ წარდგენილი მთავარი პროკურორები ვნახეთ, ვინ იყვნენ და რა იყვნენ! შესაბამისად, ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ წულუკიანი წავიდეს და შერჩევა უნდა მოხდეს გამჭვირვალედ, რეალურად. გენერალური პროკურორი უნდა იყოს დამოუკიდებელი ადამიანი, არც ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი უნდა იყოს და არც – „ქართული ოცნების“. უნდა იყოს საზოგადოების მაღალი ნდობით მოსარგებლე ადამიანი მთავარ პროკურორად!

***— ვინ გესახებათ ასეთ პირად?***

— ღვთის წყალობით, ასეთი ადამიანი ძალიან ბევრია!

***— კახა კახიშვილის კანდიდატურას განიხილავს საზოგადოება აქტიურად. თქვენ რამდენად იზიარებთ?***

— კახიშვილი ძალიან კარგი ბიჭია, მაგრამ „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი არ უნდა იყოს, ეს არის პრინციპული ამბავი!

***— რამდენად დაუშვებს „ოცნება“, რომ მისი გუნდიდან არ იყოს ქვეყნის მთავარი პროკურორი? ეს რეალურად გეჩვენებათ?***

— არ დაუშვებს და გადაყვება ხელისუფლება თავიდან ბოლომდე! ცოტა გაიაზრონ, რომ ვითარება არის ძალიან შეცვლილი და ხალხი უკვე ყველაფერზე აღშფოთებას გამოთქვამს. ხალხი უკვე წკიპზეა. არ დაუშვებენ და ვერ გაასწრებენ ამ ხალხს!

***— კვირიკაშვილის გადადგომაც მოითხოვეს, ბოთლებიც ესროლეს, თუმცა ის აცხადებს, რომ საქმეს სანამ ბოლომდე არ მიიყვანს, არ წავა.***

— ჰოდა, ალალი და უსაყვედურო იყოს ის ბოთლები მასზე! რა საქმეები უნდა შეასრულოს?! რა საქმე გააკეთა საერთოდ, რა საქმეზე ლაპარაკობს კვირიკაშვილი. მანახა ერთი მაგის გაკეთებული საქმე! შეჭმული მილიონები, იცოცხლე, მაგრამ მაგის გაკეთებული საქმე არც არავის არ უნახავს!

***— პრემიერის შეხვედრის შემდეგ ზაზა სარალიძემ განაცხადა, რომ 10 ივნისამდე დაითქვა ვადა. რისი მოლოდინი გაქვთ, რა შეიცვლება ამ 5 დღეში?***

— პირველ რიგში, მთავარი პროკურორი უნდა იყოს საზოგადოების ნდობით მოსარგებლე დამოუკიდებელი კანდიდატი! ეს არ მოხდება და მაშინ „ქართული ოცნება“ ვერ გაასწრებს თავის კაბინეტებიდან! ეს არის ორჯერ ორი ოთხი და გაიაზრონ ეს! ეს 5 დღეში მოხდება თუ 15 დღეში, ეს აუცილებლად მოხდება და ძალიან მალე მოხდება! შესაბამისად, ეს დასკვნა უნდა გაითავისონ! ეს არის ყველაზე პრინციპული. მერე, როგორც კი მთავარ პროკურორად ნორმალური ადამიანი მივა, მერე ვნახავთ, ხელისუფლება როგორ მიასწრებს ერთმანეთს პროკურატურაში, რომ ერთმანეთს ხელი დაადონ და მოყვნენ, რა კორუფციული სქემები იყო, როგორ ფარცხავდნენ საქმეებს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

***— თქვენ აქციების დაწყებისთანავე აკეთებდით განცხადებას, რომ ზაზა სარალიძე უნდა დაგეხსნათ ნაციონალებისგან. ყველა საუბრობდა, რომ ეს პროცესი ნაციონალებისგან იმართებოდა, ისინი მოექცნენ საპროტესტო მუხტის სათავეში. რამდენად მოხერხდა ამ ეტაპზე სარალიძის და ნაციონალების გამიჯვნა?***

— ნაციონალური მოძრაობა დარწმუნდა ბოლო აქციაზე, ხუთი კინკილა კაცილა რომ იდგა იქ, როლანდ ახალაია და გურამ დონაძე, დარწმუნდა, რომ არავინ იქ, მათ დაძახილზე, კუპრავას და როლანდ ახალაიას დაძახილზე არ მისულა! არც სააკაშვილის დაძახილზე! იქ ყველა მივიდა ზაზა სარალიძის, შვილმკვდარი და სისტემისგან გასრესილი მშობლის მხარდასაჭერად! მათ შორის მეც ამისთვის მივედი!

***— თუმცა სიტუაცია შეიცვალა.***

— მერე დაინახა ბევრი ხალხი ნაციონალურმა მოძრაობამ და არიქა, ეტყობა გაახსენდა 2003 წელი და მოინდომეს რევოლუცია. მერე მარტო ნაციონალური მოძრაობის დაძახილზე რამდენი კაცი მივიდა, ისიც კარგად დათვალეს და ზაზა სარალიძის სოლიდარობისთვის რამდენი მივიდა, ისიც დათვალეს ალბათ! ყველას გაგვახსენა ნაციონალურმა მოძრაობამ, ვინ არიან და ისინი თავის რჯულს არ უღალატებდნენ! სცადეს ამ სიტუაციის სათავისოდ გამოყენება! თუმცა ხალხი არ მოტყუვდება ასე მარტივად, ვიღაცა ზვიად კუპრავები ამ ხალხს ვერ მოატყუებენ, იმიტომ, რომ ჩვენ გარკვეული პოლიტიკური გამოცდილება უკვე მივიღეთ!

შესაბამისად, ეს პროცესი უნდა წავიდეს სისტემის გასაჯანსაღებლად და ნორმალური ქვეყნის ასაშენებლად და არა – სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსაყვანად! ეს ყველამ კარგად დავინახეთ!

***— კუპრავა ახსენეთ და აეროპორტში უნახავთ წუხელ, უკრაინაში მიფრინავდაო.***

— მე არ ვიცი, ვინ სად მიფრინავდა, მაგრამ მე მგონი, თავისი ადგილი ყველას მიეჩინა! კუპრავებსაც და დანარჩენებსაც! ფაქტი ერთია, რომ ხალხმა უკვე ღიად უთხრა „ქართულ ოცნებას“, უკვე 6 წელი გავიდა და ამათ კი არაფრის კეთება არ უნდათ. ჩინოვნიკების მხრიდან კი ფულის პარვას ასე მარტივად აღარავინ შეეგუება! ყელში ამოვიდა!

***— რას ელოდებით „ოცნებისგან“?***

— თუ ძალიან სწრაფად არ გადადგამენ ადეკვატურ ნაბიჯებს, ძალიან მალე დასრულდება მათი მმართველობა. შემოდგომამდე ველარ მიაღწევენ, ამაში ვარ უკვე ღრმად დარწმუნებული! ისეთ ბოდვას თუ გააგრძელებენ, რასაც ახლა ეწევიან, რომ ვითომ ერთმა პირად კონტროლზე აიყვანა და არიქა, დედა, რა მაგარი რაღაცა თქვა. რა, აქამდე არ იცოდა ამ საქმის შესახებ?! წულუკიანი დადის და კონსერვატორიაში ეძებს მთავარ პროკურორს! ასეთი აბსურდი თუ გააგრძელეს და არაადეკვატურობა, მაშინ გარწმუნებთ, შემოდგომამდე ვერ მივა ეს ხელისუფლება! აგერ მე და აგერ თქვენ!

## „ხელისუფლება შემოდგომამდე ვერ მიაღწევს, ასე თუ გააგრძელა“

***— ახალ რევოლუციას აანონსებთ?***

— სულაც არ მინდა რევოლუციური გზა, მთელი არსით მძულს რევოლუცია. მიმაჩნია, რომ ქვეყანაში ხელისუფლება უნდა იცვლებოდეს აუცილებლად არჩევნების გზით!

***— მაგრამ არ ტოვებს „ოცნება“ ამის შანსს თუ რისი თქმა გსურთ?***

— უახლოეს დღეებში გამოჩნდება, რამდენად ადეკვატურები არიან! თუ არ დატოვებენ ამის შანსს, ძალიან მალე მოუწევთ დამშვიდობება მთლიანად ხელისუფლებასთან. ხოლო თუ გადადგამენ ადეკვატურ ნაბიჯებს, პირველ რიგში მართლმსაჯულების სისტემის გაწმენდის და გაჯანსაღების კუთხით, მაშინ ვიტყვით, რომ რაღაცა შეუსმენიათ და დასკვნები გამოუტანიათ.

***— რა დაგვანახა ამ პროცესმა? ხორავას ქუჩის ტრაგედიამ?***

— ამ აქციებმა დაგვანახა, რომ საზოგადოებამ გამოიტანა თავისი შეცდომებიდან დასკვნა, ხოლო ამ ხელისუფლებამ ვერ გამოიტანა ვერც წინა ხელისუფლების შეცდომებისგან და გეტყვით, რას ვგულისხმობ. როდესაც გირგვლიანის აქციებზე ირინა ენუქიძის გარშემო 50 კაცი ვიდექით მარტო, 50 კინკილა კაცი, როგორც ჩანს, საზოგადოებას ძალიან მწარედ დაამახსოვრდა, შერცხვა და აი ახლა, პირველივე დაძახილზე, ზაზა სარალიძის გვერდით დადგა ათი ათასობით ადამიანი. საზოგადოებამ დასკვნები გამოიტანა საკუთარი შეცდომებიდან! „ქართულმა ოცნებამ“, როგორც ჩანს, ვერანაირი დასკვნები ვერ გამოიტანა წინა ხელისუფლების შეცდომებიდან.

***— ანუ სხვის შეცდომებზეც ვერ ისწავლა?***

— ვერც სხვისაზე და ვერც საკუთარ შეცდომებზე ვერ ისწავლა, მან თვითონ დაუშვა და გააღრმავა ეს პრობლემა. შესაბამისად, საზოგადოება, რომელიც განვითარებით არის წინ წასული ხელისუფლებაზე, ამ ბალანსს აღადგენს. საზოგადოება ძალიან დიდხანს ვერ მოითმენს ენძელა მაჭავარიანებს და ვიღაც ანეკდოტურ პერსონაჟებს ხელისუფლებაში! აგერ გამოჩნდა კიდეც, 6 წელი ვითმინეთ, ვითმინეთ მხოლოდ იმის ხათრით, რომ არიქა და ისევ სააკაშვილი არ გვინდა. კვება ნაციონალურმა მოძრაობამ და სააკაშვილმა „ქართული ოცნება“, მაგრამ ერთიც ამოვიდა ყელში და მეორეც! ამ აქციებმა ეს დაადასტურა, რომ ხალხმა ერთსაც და მეორესაც აჩვენა ყვითელი ბარათი!

***— ზაზა სარალიძე აცხადებს, რომ ის აღარ ენდობა სამართალდამცავ ორგანოებს. მიაჩნია, რომ ყველა მტკიცებულება განადგურებულია და საქმეს ველარ გამოიძიებენ. თუნდაც ახალი გენერალური პროკურორი, თუნდაც ის სარგებლობდეს საზოგადოების მაღალი ნდობით. რამდენად ეშველება ამ საქმეს? შეიცვლება სარალიძის მიდგომები?***

— ახალი მთავარი პროკურორი თუ არ იქნება არც „ქართული ოცნების“ და არც ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი, ძალიან ბევრი რამ შეუძლია შეცვალოს! ათეულობით საქმე დევს გამოუძიებელი პროკურატურის არქივებში. ძალიან ბევრი რამ შეიცვლება. ყირაზე დადგება ყველაფერი!

ფარცხალაძემ რომ თანამდებობიდან წასვლის შემდეგ სამი მილიონის ქონება შეიძინა, ნარმანიამ რომ აჩუქა აუქციონზე, ამას რომ გამოიძიებენ და ფარცხალაძეც, ნარმანიაც და შოთაძეც რომ მოყვება, სინამდვილეში როგორ ჩაფარცხეს ეს საქმე, ასევე სხვა ბევრ გამოუძიებელ საქმეებზე რომ დადგებიან და მოყვებიან, აი, მერე დალაგდება ყველაფერი თავის ადგილზე.

ყველაფერს რომ გამოიძიებ, მექრთამეებს და დამნაშავეებს ყურში ხელს რომ მოკიდებ და ჩასვამ ციხეში, აი, მერე ყველაფერი დადგება თავის ადგილზე! ეს ხელისუფლება აქამდე მივიდა იმით, რომ შეპყრობილი იყო საკუთარი ძალაუფლების ტკბობით და ჰქონდა განცდა, რომ ვერავინ ვერაფერს დააკლებდა. ყურში რომ მოკიდებენ ხელს, აი, მერე დალაგდება ყველაფერი და ქვეყანაც წავა ნორმალური განვითარებით!

# მიხეილ სააკაშვილი: „ივანიშვილი საქართველოს საერთაშორისო პოზიციების წინააღმდეგ ძალიან დიდ დარტყმას ამზადებს“



საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბიძინა ივანიშვილს რუსეთთან გარიგებაში ადანაშაულებს.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დავალებით ხდება ზეწოლა მოწმეებზე, რათა მათ ჰააგაში საქართველოს საწინააღმდეგო ჩვენებები მისცენ.

მისი განცხადებით, ეს არის ბიძინა ივანიშვილის მიზანმიმართული ქმედება საქართველოს წინააღმდეგ, რადგან „ქართული ოცნების“ ლიდერი ამ გზით რუსეთ-საქართველოს ომში საქართველოს დადანაშაულებას ცდილობს.

— ჩემი ინფორმაციით, რაც გვაქვს ჩვენი წყაროებიდან, ივანიშვილი ამზადებს ძალიან დიდ დარტყმას საქართველოს საერთაშორისო პოზიციების წინააღმდეგ. საქმე იმაშია, რომ რუსეთმა გაითამაშა, რომ აღარ თანამშრომლობს საერთაშორისო სასამართლოსთან ჰააგაში. გავიდა რომის სტატუტიდან, იძახის არ ვთანამშრომლობთ. ამავე დროს რუსებმა შემოუთვალეს ჰააგის სასამართლოს, თუ რამე გინდათ გაამტყუნეთ ქართველები და მაშინ დავბრუნდებით სასამართლოში. თვითონ ოფიციალურად არ თანამშრომლობს. სამაგიეროდ თავისი აგენტურით საქართველოში და ახლა იქ ჩასულია ჰააგის ჯგუფი, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ სიტუაცია ისე წარმოაჩინონ, რომ ქართველი სამხედროები და საქართველოს შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა იყოს დადანაშაულებული ჰააგის სასამართლოს მიერ იმ პირობებში, როდესაც რუსეთზე ხელი არ მიუწვდებათ და რუსეთი ოფიციალურად არც არის ამ პროცესის ნაწილი.

ერთი სიტყვით იმდენად დაბრმავებულია სიძულვილით საკუთარი ქვეყნის, რომ მზად არის ივანიშვილი წავიდეს ნებისმიერ გაყალბებაზე, ამაში მონაწილეობს წულუკიანი და სუს-ის თანამშრომლები, რომლებიც ამუშავებენ მოწმეებს.

მე ამას იმიტომ ვამბობ, რომ ეს არის აბსოლუტური ზუსტი ინფორმაცია და ხალხმა ამის შესახებ უნდა იცოდეს. ეს მზადდება ჩვენს თვალწინ, ჩვენს ზურგს უკან. ამას შეიძლება ჰქონდეს ძალიან მძიმე შედეგი საქართველოსთვის და მე უბრალოდ ვალდებული ვარ ხალხმა იცოდეს სიმართლე.

ჩვენ უნდა ვიყოთ ყველანი მობილიზებულები, ფრთხილად, იმ გაგებით, რომ ჩვენ არაფერი დასამალი არ გვაქვს, საქართველო მსხვერპლია, საქართველო მართალია, მაგრამ საქართველოს ახლა მართავს პირდაპირ მეხუთე კოლონა, რუსეთის დასმული კაცი, რომელიც აკეთებს იმას, რა დავალებაც ჰქონდა მიღებული თავის დროზე პუტინისგან. მათ შორის საერთაშორისო მექანიზმების ამ მიმართულებით გამოყენების.

თუ ივანიშვილმა თავისი გაიტანა და ამ პირობებში როდესაც პრაქტიკულად ყველა ბერკეტი მის ხელშია, საქართველო აღმოჩნდება მთლიანად გამტყუნებული და ეს არის მისი გეგმაზომიერი გადაწყვეტილება. ამისთვის არის ეს კაცი საქართველოში.

ეს კაცი ალბათ მალე დასრულდება, მაგრამ, სანამ ის დასრულდება, მან შეიძლება დაასრულოს საქართველო და ქართული სახელმწიფოებრიობა, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა რუსთავი 2-თან საუბარში.

**მედიანიუსი**

## პორტუგალია გმობს სირიის გადაწყვეტილებას აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ



პორტუგალიამ დაგმო სირიის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება. ოფიციალური ლისაბონი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს.

— პორტუგალიის მთავრობა ადასტურებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. მკაცრად გმობს სირიის რეჟიმის გადაწყვეტილებას, დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან — აფხაზეთთან და „სამხრეთ ოსეთთან“, რაც არის საერთაშორისო სამართლისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის აშკარა დარღვევა, გაერო-ს წესდებისა და გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიხედვით, — წერია პორტუგალიის მთავრობის განცხადებაში.

**მედიანიუსი**

# რატომ დაეძაბა აფხაზეთის ოკუპირებულ რეგიონს ურთიერთობა სომხეთთან

## ვიცესპიკერი: „იმედი მაქვს, რომ სომხეთის ახალი ხელისუფლება აფხაზეთთან ოფიციალურ ურთიერთობებს დაამყარებს“

მარიამ მჭედლიშვილი




**ოკუპირებულ აფხაზეთს სომხეთთან ურთიერთობა გაუფუჭდა. კონფლიქტში ამ ეტაპზე არასამთავრობო ორგანიზაციები არიან ჩართული. ორივე მხარე პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს და, დიდი ალბათობით, ოფიციალურ პოზიციებს ახმოვანებს.**

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ სომხეთში აფხაზეთის პასპორტებით ჩავიდნენ ახალგაზრდები. ამაზე მწვავე რეაქცია ჰქონდა სომხეთში მოქმედ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას. მათ განაცხადეს, რომ თვითგამოცხადებული აფხაზეთის პასპორტები ვერ ჩაითვლება დოკუმენტად, რომლითაც დასაშვებია სომხეთის საზღვრის გადაკვეთა. მათ მოუწოდეს სომხეთის შესაბამის სამსახურებს, აღკვეთონ მსგავსი დარღვევები.

– აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციები სომხეთის სპეცსამსახურების დანამატს წარმოადგენენ, – ასე გამოეხმაურნენ ამ პოზიციას სოხუმში.

აფხაზურმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ამ პოზიციას გეოპოლიტიკური კონიუნქტურის ამსახველი უწოდეს. ეს ადამიანები, აფხაზური მხარის შეფასებით, გადაადგილებას უზღუდავენ აფხაზ ახალგაზრდებს. თუ მათ საქართველოს პასპორტები მოეთხოვებათ, მაშინ ერევანში მთიანი ყარაბაღის მცხოვრებლებს აზერბაიჯანის პასპორტები უნდა მოჰკითხონ. აფხაზეთის საზოგადოება მოუწოდებს სომეხ კოლეგებს, შეუერთდნენ სამხრეთ კავკასიის იმ ლიდერებს, რომლებიც ცდილობენ მოუხსნან ბარიერები იმ მოსახლეობას, რომელმაც კონფლიქტი გადაიტანა.

როგორც ჩანს, სულ სხვა კონიუნქტურას მისდევს ეროვნებით სომეხი, აფხაზეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერი, ლევონ გალუსტიანი.

იგი იმედს გამოთქვამს, რომ სომხეთის ახალი ხელისუფლება შეცვლის ურთიერთობას აფხაზეთთან და ეს ურთიერთობები არაოფიციალურიდან ოფიციალურად გადაიქცევა.

ეს განცხადება განსაკუთრებით მწვავედ აღიქმება სირიის მიერ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ „სახელმწიფოებად“ აღიარების ფონზე.

– უნდა დავიწყოთ თანამშრომლობა ჰუმანიტარული საკითხებით. წინა წლებში ჩვენი სპორტსმენები მიემგზავრებოდნენ სომხეთში შეჯიბრებებზე, მაგრამ იქ მოგონილი საბაბით ასპარეზობაში ვერ ილებდნენ მონაწილეობას. საქართველოს საელჩო, იგებდა რა მათი სომხეთში ჩასვლის შესახებ, საპროტესტო ნოტებს ამზადებდა. ამის შემდეგ, სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, აფხაზი სპორტსმენები შეჯიბრებებიდან ითიშებოდნენ. აფხაზეთსა და სომხეთს შორის მეგობრული ურთიერთობებია და არავინ უნდა შეუქმნას დაბრკოლება აფხაზ ხალხს, რომელმაც მოიგო ომი და მიაღწია თავისუფლებას, – აღნიშნავს კანონმდებელი ოკუპირებული რეგიონიდან.

იგი პარალელს ავლებს მთიან ყარაბაღთან – არცახთან:

– არცახის მოქალაქეებმაც ბრძოლით მოიპოვეს საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენების უფლება. თუ პატივს სცემ არცახელების უფლებას ჰქონდეთ დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაშინ აფხაზეთის სახელმწიფოს პოზიციასაც პატივი უნდა სცე.

რამდენიმე დღის წინ საერთაშორისო საზოგადოებამ დაგმო სირიის გადაწყვეტილება საქართველოს ორი რეგიონის აღიარების თაობაზე. ამას დაემთხვა აფხაზეთის ფეხბურთელების მონაწილეობა საერთაშორისო ტურნირში. კონიფას ტურნირი ლონდონში გაიმართა. აფხაზეთი მასში პირველად არ მონაწილეობს და თბილისის მხრიდანაც პირველად არ გამოთქმულა პროტესტი ამის მიმართ.

აფხაზი ჟურნალისტი იზიდა ჭანია მიიჩნევს, რომ რამდენიმე დღეა, ქართული მედია აფხაზეთს აპიარებს. აფხაზეთის პოპულარიზაცია მოხდა სირიის მთავრობის გადაწყვეტილების შეფასებისას, ასევე კონიფას ჩემპიონატის გაშუქებისას. ოფიციალური თბილისი მოითხოვდა „აფხაზეთის“ გვერდით „საქართველოს“ მოხსენიებას, რითიც მსოფლიო ყურადღება აფხაზეთისკენ იყო მოპყრობილი.

# ხილის, ზეთის, ცხიმის, თევზეულის, ხორცის, ყავის ფასები გაიზარდა

2018 წლის მაისში წლიური ინფლაციის დონემ 2,5 პროცენტი შეადგინა, ხოლო წინა თვესთან შედარებით სამომხმარებლო ფასების ინდექსი არ შეცვლილა.

საქსტატის ინფორმაციით, წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელებზე ფასები მომატებულია 1,8 პროცენტით, რაც 0,56 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში.

ფასები ასევე გაიზარდა ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (21,6 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (4,6 პროცენტი), თევზეული (4,2 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (2,6 პროცენტი), ასევე ყავა, ჩაი და კაკაო (1,4 პროცენტი).

ამასთან, ფასები შემცირდა შაქარზე, ჯემსა და




სხვა ტკბილეულზე (-3,4 პროცენტი);

ტრანსპორტის ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 3,5 პროცენტიანი ზრდა, რაც წლიურ ინფლაციაზე 0,49 პროცენტული პუნქტით აისახა.

ფასები მომატებულია პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (6,1 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო, ამ ჯგუფში ფასები მომატებულია 6,4 პროცენტით, რაც 0,43 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ჯგუფში ფასები გაიზარდა თამბაქოს ნაწარმზე (10,9 პროცენტი);

საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი: ფასები გაიზარდა 4,7 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიურ ინფლაციაში 0,38 პროცენტული პუნქტი შეადგინა.

ფასები მომატებულია წყალმომარაგებისა და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურების (7,7 პროცენტი), ასევე ელექტროენერგიის, აირის და სათბობის სხვა სახეების (5,2 პროცენტი) ქვეჯგუფებზე; ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 4,3 პროცენტით, რაც 0,35 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში.

ჯგუფში ფასების მატება დაფიქსირდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: სამედიცინო პროდუქცია, აპარატურა და მოწყობილობა (6,8 პროცენტი), ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება (3,4 პროცენტი) და საავადმყოფოების მომსახურება (2,3 პროცენტი).

**კომერსანტი**

# საღამოს საათებში ავტობუსების 34 მარშრუტზე დამატებითი რეისები შესრულდება



თბილისის მერიის განცხადებით, საღამოს საათებში მუნიციპალური ავტობუსების 34 მარშრუტზე ინტერვალების შესამცირებლად დამატებითი რეისები შესრულდება.

მეტროპოლიტენის მემანქანეების გაფიცვის პერიოდში მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესებისთვის თბილისის მერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შემდეგ მარშრუტებზე გავრცელდება: №2, №3, №6, №11, №15, №17, №19, №20, №25, №27, №39, №42, №44, №46, №47, №49, №50, №55, №56, №59, №61, №62, №70, №71, №72, №85, №86, №87, №88, №91, №92, №99, №101 და №102.

**კომერსანტი**

# „ჩირინას“ წინააღმდეგ შავი პიარი ქათმის ხორცის იმპორტიორების მიერ იყო შეკვეთილი

კომპანია „ჩირინას“ წინააღმდეგ „შავი პიარია“ დაწყებული. პროცესები მას შემდეგ დაიწყო, რაც კომპანიის დამფუძნებელმა რევაზ ვაშაკიძემ საჯაროდ გააკეთა განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანაში დაბალხარისხიანი იმპორტირებული პროდუქცია შემოდის, რის წინააღმდეგაც სახელმწიფომ რადიკალური ზომები უნდა გაატაროს.

– როდესაც ქართულ ბაზარზე შემოდის ხორცი, სადაც 30% წყალია და ის, რა თქმა უნდა, უხარისხოა და დაბალი ფასიც აქვს. საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენელი ამაში ვერ ერკვევა და მსგავს პროდუქტს ყიდულობს. ასეთი ქათმის ხორცი ძირითადად უკრაინიდან შემოდის და დიდი რაოდენობითაა. მაგალითად, დღეს ასეთი პროდუქტი სავაჭრო ქსელ კარფურში ვნახე, – აცხადებდა „კომერსანტთან“ საუბარში „ბიუ-ბიუს“ დამფუძნებელი რევაზ ვაშაკიძე.

რამდენიმე დღის წინ კი ერთ-ერთ ტელეკომპანიაში გავიდა სიუჟეტი, რომელშიც ითქვა, რომ თითქოს კომპანია „ჩირინას“ მიერ წარმოებულ ქათმის ხორცი ბაქტერია სალმონელათი იყო დაბინძურებული.

– ეს არის იმპორტიორების მხრიდან კომპანია „ჩირინას“ წინააღმდეგ აგორებული შავი პიარი, – ასე შეაფასა „ბიუ ბიუს“ მწარმოებელმა, კომპანია „ჩირინას“ დამფუძნებელმა რევაზ ვაშაკიძემ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია.

მისი განცხადებით,„ბიუ-ბიუს“ ივლისში წარმოების დაწყებიდან 5 წელი უსრულდება. შედეგად, წარმოების ხანდაზმულობიდან გამომდინარე, ვეტერინარულ-სანიტარიული მიზნებით აუცილებელია ივნისში განხორციელდეს ფერმების ეტაპობრივი სანიტარიული სანაცია და წარმოებისათვის აუცილებელი შესაბამისი პროფილაქტიკური ვეტერინარული ღონისძიებების ჩატარება.

აქედან გამომდინარე, ვაშაკიძე განმარტავს, რომ ივნისში „ბიუ-ბიუს“ ჯიხურები არ იმუშავებენ.

– ივნისის ბოლოდან კი ჩვენ კვლავ ძველებურად დაგიბრუნდებით და ყოველდღიურად



მოგაწვდით ახალ, ნედლ ქათმის ხორცს. ამ პერიოდში კი შეგიძლიათ „ბიუ-ბიუს“ გაყინული პროდუქცია შეიძინოთ უახლოეს სუპერმარკეტებში, – აცხადებს ვაშაკიძე. მისივე განცხადებით, კომპანია „ჩირინა“ წლიურად 12 მილიონ ფრთა ქათამს აწარმოებს.

**კომერსანტი**

# საქართველოში აზარტულ თამაშებში უფრო მეტს ხარჯავენ, ვიდრე კვებაში

საქართველოში მოქალაქეები (როგორც რეზიდენტი, ასევე არარეზიდენტი პირები) აზარტულ თამაშებში უფრო მეტს ხარჯავენ, ვიდრე კვებაში, საწვავში და ა.შ.

სტატისტიკის სამსახურის მიერ „ბიზნესპრესისთვის“ მოწოდებული ინფორმაცი-




ის მიხედვით, 2017 წელს სათამაშო (აზარტული) ბიზნესის ბრუნვამ 5,650 მლრდ ლარი შეადგინა, რაც საცალო ვაჭრობის არასპეციალიზებულ მაღაზიების ბრუნვასთან შედარებით თითქმის 1,6 მლრდ ლარით მეტია. სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, 2017 წელს საცალო ვაჭრობის არასპეციალიზებული მაღაზიების ბრუნვამ (სუპერმარკეტები, უბნის მაღაზიები და ა.შ.) 4,094 მლრდ ლარი შეადგინა.

ამასთან, საწვავის ბაზრის ბრუნვა (საცალო ვაჭრობა, საავტომობილო სათბობით სპეციალიზებულ მაღაზიების) შეადგენს 2,343 მლრდ ლარს.

თითქმის 4,1 მლრდ ლარით აღემატება სათამაშო ბიზნესის ბრუნვა რესტორნებისა და სასტუმროების მთლიან ბრუნვას. კერძოდ, სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, 2018 წელს განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებული დაწესებულებების ბრუნვამ სულ 1,559 მლრდ ლარი შეადგინა.

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, საქართველოში ადამიანები აზარტულ თამაშებზე იმაზე მეტს ხარჯავენ, ვიდრე საწვავში, კვებასა და სასტუმრო-რესტორნებში.

# მეტროს მემანქანეები უვადოდ გაფიცვას აპირებენ



– თუ ვერ შევთანხმდით და მერიის მხრიდან ახალი ნაბიჯები არ გადაიდგა, ამ შემთხვევაში, გაფიცულები დათმობას არ აპირებენ და გაფიცვა უვადოდ გაგრძელდება, – ამის შესახებ „კომერსანტს“ მეტროს მემანქანეების დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის „ერთობა 2013“-ის თავმჯდომარემ რატი კაპანაძემ განუცხადა.

როგორც კაპანაძე აცხადებს, მერიასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, თუმცა უშედეგოდ. საბოლოოდ კი მდგომარეობა გაფიცვამდე მივიდა. როგორც აღმოჩნდა, გაფიცულები ამ დრომდე შეხვედრებს ვიცე-მერთან ირაკლი ხმალაძესთან მართავდნენ.

– ჩვენ მერიისთვის ხელფასის ზრდასთან დაკავშირებით არაერთი პოზიცია გვქონდა შეთავაზებული, მაგალითად ის, რომ თვიური შემოსავლის ზრდა ეტაპობრივად, დროის მიხედვით მომხდარიყო.

თუმცა არც მაშინ, მერიის მხრიდან ხელფასის ტარიფის ზრდასთან მიმართებით კონკრეტული წინადადებები არ ყოფილა.

საგაფიცვო პერიოდზე მერიაში ჩვენი მხრიდან 2 აპრილს წერილი შევიდა, ხოლო შემდგომ ვიცემერ ირაკლი ხმალაძეს შევხვდით. ამის შემდგომ მაისში ვიცემერთან შეხვედრა ორჯერ მოხდა. გაფიცვის პერიოდში კიდევ ერთხელ და საბოლოოდ გუშინ მერს შევხვდით. ანუ ჯამში მერიასთან შეხვედრა ოთხჯერ გავმართეთ, – აღნიშნა კაპანაძემ.

თავმჯდომარე მერის მიერ გადადგმულ ნაბიჯს დადებითად აფასებს, რადგან კახა კალაძემ გარკვეული სახის დაპირებებზე ისაუბრა. თუმცა გაფიცულები პოზიციას ამ დრომდე არ იცვლიან.

– ამ პერიოდის განმავლობაში მერმა პირველად გადმოდგა ნაბიჯი და ეს მისასალმებელია.

მერმა გარკვეულ დაპირებებზე ისაუბრა 2019 წლიდან, თუმცა დეტალებზე საუბარი არ ყოფილა. გუშინდელი შეხვედრა შეთანხმებით არ დასრულებულა. სამწუხაროდ, გაფიცულებმა ეს წინადადება არ მიიღეს. მათ სურთ კონკრეტული შემოთავაზებები, რათა მსჯელობა დაიწყოს გაფიცულებმა, მაგრამ ეს გუშინ ვერ დაინახეს, – განმარტა „ერთობა 13-ის“ თავმჯდომარემ.

რატი კაპანაძე „კომერსანტთან“ მემანქანის ამჟამინდელ ხელფასსა და სამომავლოდ თანხის საათობრივად ზრდაზეც საუბრობს.

– დღეს მემანქანის ხელფასი დანამატებიანად 1.100-1.150 ლარამდე შეადგენს. მემანქანეები ამბობენ, რომ ისინი ხელზე 1000 ლარს იღებენ, ხოლო გაფიცვა ხელფასის მატებას დაახლოებით 400 ლარამდე გულისხმობს, ანუ მატების შემთხვევაში მათი თვიური შემოსავალი ჯამში 1.400 ლარი გახდება.

ბალანსზე დარიცხული თანხა ჯამში 1.297 ლარს შეადგენს, ამას აკლდება საშემოსავლოს 20%-ი ანუ 259 ლარი და ხელზე 1.037 ლარი გვრჩება. ხოლო მემანქანეები თანხის 1.400 ლარამდე გაზრდა ითხოვენ. ტარიფის გაზრდას საათობრივად ვითხოვთ 6.92 ლარის ნაცვლად 10 ლარი უნდა გახდეს. მემანქანე თვის განმავლობაში 150 საათს მუშაობს. აქ მხოლოდ ხელზე ასაღებ თანხაზეა საუბარი, – აღნიშნა კაპანაძემ.

გაფიცული მხარის განცხადებით მერია მუნიციპალურ ბიუჯეტში შესაბამისი თანხის არარსებობაზე საუბრობს და ხელფასების ზრდა სწორედ ამიტომ ვერ ხდება.

რაც შეეხება თავად მერიის პოზიციას, როგორც „კომერსანტს“ მერიაში განუცხადეს, მათი პოზიცია ამ ეტაპზე კვლავ უცვლელია. მერიის განმარტებით, გაფიცულების მოთხოვნების გათვალისწინება წარმოუდგენელია. ხოლო ამ ეტაპზე კონკრეტული შეთანხმება არ არსებობს, მოლაპარაკებები კი გრძელდება.

შეგახსენებთ, რომ მეტროს მემანქანეებმა გაფიცვა და შიმშილობა 2 ივნისს დაიწყეს, რამაც 4 ივნისს მეტროს პარალიზება გამოიწვია. გაფიცვა ხელფასების ზრდას უკავშირდება. მეტროს მემანქანეები მოითხოვენ, რომ მათი თანამდებობრივი სარგო 45%-ით გაიზარდოს.

თბილისის მერი კახა კალაძე თბილისის მეტროს გაფიცულ მემანქანეებს შეხვდა, თუმცა მათ შორის შეთანხმება ვერ შედგა და მემანქანეები გაფიცვას აგრძელებენ.

4 ივნისს კახა კალაძემ მეტროს მემანქანეების ხელფასი გაასაჯაროვა. მისი თქმით, ანაზღაურება პატრულის, მაშველის, მეხანძრის, სასწრაფო ბრიგადის თანამშრომლის ხელფასებს აღემატება.

**კომერსანტი**

# ირაკლი ხმალაძე: „მეტროს გაჩერების გამო დღიური ზარალი 40-45 ათასი ლარია“



დღიური ზარალი ნამდვილად არ არის არც 300.000 არც 600.000 ლარი. ის არის დაახლოებით 40-45 ათასი ლარი, იქიდან გამომდინარე, რომ გაჩერებულია მეტრო და თუ, ერთი მხრივ, არ შემოდის შემოსავალი, მეორე მხრივ, არ იხარჯება თანხები მისი ოპერირებისთვის – ამის შესახებ ვიცე-მერმა ირაკლი ხმალაძემ განაცხადა, რითაც გამოეხმაურა ოპოზიციური პარტიების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას მეტროს გაჩერების შედეგად დედაქალაქისთვის მიყენებულ ფინანსურ ზარალთან დაკავშირებით.

ირაკლი ხმალაძე ოპოზიციურ პარტიებს მოუწოდებს, ციფრებზე საუბრისას სჯობს ისწავლონ ანგარიში, რომ საზოგადოებას ზუსტი ინფორმაცია მიაწოდონ.

– რასაკვირველია, როდესაც პარალიზებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი, გარკვეული ზარალი წარმოიქმნება, მაგრამ მე დღეს მოვისმინე კოლოსალური თანხები – 600.000 ლარზე საუბრობდნენ, რაც სიმართლეს არ შეესაბამება და მინდა მივმართო ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს, რომ ცოტა მეტად დაფიქრდნენ, როცა განცხადებებს აკეთებენ. ჩვენ არ გვიჭირს საერთო ენის გამონახვა ჩვენს თანამშრომლებთან. ამ შემთხვევაში გაგვიჭირდა სახსრების გამონახვა იმისთვის, რომ მივიღოთ ხელფასების ზრდასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება.

როდესაც საუბრობენ ციფრებზე, სჯობს ისწავლონ ანგარიში იმისთვის, რომ ზუსტი ციფრებით სწორი ინფორმაცია მიაწოდონ საზოგადოებას. მოცემულ შემთხვევაში დღიური ზარალი ნამდვილად არ არის არც 300.000, არც 600.000 ლარი, ის არის დაახლოებით 40-45 ათასი ლარი, იქიდან გამომდინარე, რომ გაჩერებულია მეტრო და თუ, ერთი მხრივ, არ შემოდის შემოსავალი, მეორე მხრივ, არ იხარჯება გარკვეული თანხები მეტროს ოპერირებისთვის. აქედან გამომდინარე, ასე პრიმიტიულად ნუ ითვლიან, ცოტა მათემატიკაც ისწავლონ, ცოტა აზრიანი განცხადებები გააკეთონ, – აღნიშნა ირაკლი ხმალაძემ.

**ბპნ**

# ქართული ღვინის ექსპორტი 27%-ით გაიზარდა

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2018 წლის იანვარ-მაისში საქართველოდან მსოფლიოს 46 ქვეყანაში ექსპორტირებულია 31,5 მლნ ბოთლი ღვინო (0,75 ლ), რაც 27%-ით აღემატება 2017 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.

ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 75,3 მლნ აშშ დოლარია, ზრდამ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 36% შეადგინა.

ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა როგორც ევროპისა და აზიის, ისე ტრადიციული ბაზრებზე: იაპონია – 186% (97.668), დიდი ბრიტანეთი – 109% (45.210), ჩეხეთი – 87% (24.408), სამხრეთ კორეა 76% (31.380), გერმანია – 51% (252.982), ნიდერლანდები – 45% (33.399), რუსეთი – 38% (20.439.494), უკრაინა – 33% (3149.059), პოლონეთი – 33% (1.300.222), ყაზახეთი – 32% (1.379.698), ლიეტუვა – 22% (172.020), ლატვია – 22% (670.260), ესტონეთი – 16% (216.62), ბელარუსი – 11% (461.52) და სხვა. ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი (2.0439.494), უკრაინა (3.149.059), ჩინეთი (2.331.800), ყაზახეთი (1.379.698) და პოლონეთი (1.300.222).



საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 172-მა კომპანიამ განახორციელა.

ამასთან, იანვარ-მაისში საქართველოდან მსოფლიოს 20 ქვეყანაში ექსპორტირებულია 6,7 მლნ ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 21%-ით აღემატება გასული წლის 5 თვის მონაცემებს. ექსპორტირებული ბრენდი თანხაში შეადგენს 13,8 მლნ აშშ დოლარს (ზრდა 3%). საანგარიშო პერიოდში საქართველოდან მსოფლიოს 20 ქვეყანაში ექსპორტირებულია 134 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ზრდამ შეადგინა 82%. სულ ექსპორტირებულია 418,3 ათასი დოლარის ღირებულების ჭაჭა (ზრდა 104%).

ადგილწარმოშობის დასახელებებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ექსპორტირებულია „ქინძმარაული“ – 5,7 მლნ ბოთლი, შემდეგ მოდის „მუკუზანი“ – 1,7 მლნ, „წინანდალი“ – 1,4 მლნ, „ახაშენი“ – 638 ათასი, „ხვანჭკარა“ – 282 ათასი, „ტვიში“ – 140 ათასი, „ყვარელი“ – 58 ათასი ბოთლი და ა.შ.

სულ ღვინის, ბრენდის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ღვინის ექსპორტით მიღებულმა შემოსავლებმა 123,7 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 22%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

**კომერსანტი**

# ჯორჯიან ეარვეისი საპროტესტო აქციას აანონსებს



ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისი“ საგანგებო განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „კომერსანტი“ უცვლელად გთავაზობთ.

– მოგეხსენებათ, რომ ჩვენ უკვე წელიწადზე მეტია ვცდილობთ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მმართველ თურქულ კომპანიასთან, ტავ ურბან ჯორჯიასთან მოლაპარაკებას ავიაბილეთების ფასების გაიაფებასთან დაკავშირებით, რამაც შედეგი არ გამოიღო.

სამწუხაროდ, სხვა გზა არ დაგვრჩა და იძულებულები ვართ გთხოვოთ გვერდში დგომა, რომ ვაიძულოთ ტავ ურბან ჯორჯია გავიდეს საქართველოდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გააგრძელებენ ჩვენი აეროპორტების მართვას მინიმუმ 2027 წლამდე.

აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარე კვირის ბოლოს ვგეგმავთ საპროტესტო აქციის გამართვას თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე და მოგიწოდებთ თანადგომისაკენ.

დეტალურ ინფორმაციას უახლოეს პერიოდში მოგაწვდით.

წინასწარ გიხდით მადლობას თანადგომისთვის, – ნათქვამია განცხადებაში.

**კომერსანტი**

# აზიის განვითარების ბანკი – 2019 წელს საქართველოს ეკონომიკა 4,7 პროცენტით გაიზრდება

აზიის განვითარების ბანკის შეფასებით, 2019 წელს საქართველოს ეკონომიკა 4,7 პროცენტით გაიზრდება და 2018 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს 0,2 პროცენტით გაუსწრებს.

ორგანიზაციის 2018 წლის მიმოხილვაში ნათქვამია, რომ ზრდას 2018 წლის მეორე ნახევრიდან საპენსიო და კაპიტალის ბაზრის მხარდამჭერი რეფორმების განხორციელება შეუწყობს ხელს, რამაც ანალიტიკოსების გათვლებით, დანაზოგებისა და ინვესტიციების გაზრდა უნდა უზრუნველყოს.

მიმოხილვის თანახმად, 2018 წელს მოსალოდნელია ინფლაციის შემცირება 3,5 პროცენტამდე, 2017 წლის 6 პროცენტიან დონესთან შედარებით, რისი მიზეზიც, მიმოხილვის ავტორების თქმით, საქციზო პროდუქციაზე ფასების ზრდის ერთჯერადი ფაქტორების ამოწურვაა, რის შემდეგაც ინფლაციის უფრო მეტად, 3 პროცენტამდე შემცირების ელოდებიან.



ADB-ის მკვლევრების ინფორმაციით, 2018 აგრეთვე მოსალოდნელია, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მცირედი ზრდა, კერძოდ მშპ-ს 9,5 პროცენტის დონემდე, რაზეც შესაძლოა, გავლენა იქონიოს ნავთობის მზარდმა ფასმა. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის კლებას მიმოხილვის ავტორები 2019 წელს, 8,5 პროცენტამდე ელოდებიან, ექსპორტითა და ტურიზმით მიღებული შემოსავლების ხარჯზე.

– აღნიშნული პროგნოზების რისკს წარმოადგენს მოსალოდნელზე უფრო სუსტი საექსპორტო მაჩვენებელი, თუ საქართველოს წამყვან სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში განვითარებული ეკონომიკური მოვლენები უარყოფითი მოლოდინებით იქნება განპირობებული და პირიქით, საგარეო ბაზრებზე მზარდმა მოთხოვნამ შესაძლოა, უზრუნველყოს საქართველოში ეკონომიკის ზრდის კიდევ უფრო დაჩქარება, – აღნიშნულია მიმოხილვაში.

**კომერსანტი**

# თბილისში პარკირების საშვის შეძენისა და ჯარიმების გადახდის წესი იცვლება



თბილისში პარკირების საშვის შეძენისა და ჯარიმების გადახდის წესი იცვლება.

როგორც დედაქალაქის მერიიდან იუწყებიან, მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად თბილისის სატრანსპორტო კომპანია 5 ივნისიდან ცვლის პარკირების საშვის შეძენისა და ჯარიმების შემოწმების/გადახდის სისტემას, რომლის მიხედვითაც, ტექპასპორტის ნომრის ნაცვლად, შესაბამის ველებში უნდა ჩაიწეროს სახელმწიფო ნომერი და მფლობელის პირადი ნომერი.

მათი ინფორმაციით, მომხმარებელმა პარკინგის საშვის შესაძენად ან ჯარიმების გადასახდელად შესაბამის ველებში უნდა მიუთითოს:

კერძო ავტომობილებისთვის – სახელმწიფო ნომერი და მფლობელის პირადი ნომერი;

ორგანიზაციების მფლობელობაში არსებული ავტომობილებისთვის – სახელმწიფო ნომერი და კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი;

ტრანზიტული ან უცხოური ქვეყნის ნომრებით მოძრავი ავტომობილებისთვის – მხოლოდ სახელმწიფო ნომერი.

ჯარიმების ნახვა ან გადახდა დამატებით შესაძლებელია ავტომობილის სახელმწიფო ნომრისა და საჯარიმო ქვითრის ნომრის მითითებით.

როგორც მერიაში განმარტავენ, მომხმარებელი ახალი, შეცვლილი სისტემით ისარგებლებს თბილისის პარკინგის ვებგვერდზე და სწრაფი გადახდის აპარატებში.

**ბპნ**

# პროკურორი: „მოწმემ ისაუბრა იმაზე, თუ როგორ შემოვიდა ახმედ ჩატაევი საქართველოში“

ტერორისტულ ორგანიზაციაში პირების გაერთიანებისა და ტერორისტული ორგანიზაციებისა და ორგანიზაციის წევრებისთვის ხელშეწყობის საქმის პროკურორის ინფორმაციით, გუშინდელ სასამართლოზე დაკითხულმა მოწმემ, ერთის გარდა, ყველა ბრალდებულის მამხილებელი ჩვენება მისცა.

როგორც პროკურორმა ნანა ხუნჯუამ ჟურნალისტებს განუცხადა, მოწმემ ბრალდებულების მიერ სხვადასხვა დანაშაულების ჩადენაზე მიაწოდა ინფორმაცია სასამართლოს.

პროკურორი მოწმის ვინაობას და მისი ჩვენების შინაარსზე არ საუბრობს, თუმცა როგორც ცნობილია, პროცესზე ჩვენება ზურაბ გორნაკაშვილმა მისცა, რომელსაც ამავე საქმეზე ბრალი აქვს წარდგენილი და მისი საქმის განხილვა, კიდევ ერთ ბრალდებულ ბადურ ჩოფანაშვილთან ერთად, გამოყოფილად მიმდინარეობს.

როგორც პროკურორმა აღნიშნა, მოწმემ ისაუბრა ახმედ ჩატაევის საქართველოში შემოსვლაზე და ასევე იმაზე, თუ ვის რა როლი ჰქონდა, როგორც მის საქართველოში შემოყვანაზე, ასევე ქვეყნის შიგნით გადაადგილებაზე.

– მოწმემ ისაუბრა იმაზე, თუ როგორ შემოვიდა ახმედ ჩატაევი საქართველოში და ვისი დახმარებით, როგორ მოხდა მისი ჩამოყვანა თბილისში და რა მონაწილეობა ჰქონდათ ბრალდებულებს ამ საქმეში. მოწმის ჩვენება არის ყველა ბრალდებულის მამხილებელი ჩვენება, გარდა ერთისა, რომელთანაც არავითარი შეხება არ ჰქონია მას. საუბარია იმ ბრალდებულზე, რომელსაც ტერორიზმის ხელშეწყობა ედება ბრალად. 7 ბრალდებულს რამდენიმე მუხლით აქვს წარდგენილი ბრალი. შესაბამისად, დღევანდელი მოწმის ჩვენება, სხვადასხვა დანაშაულებთან დაკავშირებით აძლევს სასამართლოს ინფორმაციას, – აღნიშნა პროკურორმა ნანა ხუნჯუამ.

❖ ❖ ❖

ბრალდებული რუსლან ალდამოვის ადვოკატი პროკურატურისგან მოითხოვს, რომ ამ

## ადვოკატი კუბლაშვილი მოითხოვს, ბრალდებულ ორ პირს საპროცესო შეთანხმება არ გაუფორმდეს



საქმეზე ბრალდებულ ორ პირს საპროცესო შეთანხმება არ გაუფორმდეს.

როგორც მარიამ კუბლაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, პირები, რომელთაც ბრალი მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის აქვთ წაყენებული, შეღავათებით არ უნდა სარგებლობდნენ. კუბლაშვილი დარწმუნებულია, რომ ორივე ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება იმის გამო გაფორმდება, რომ მათ სხვა ბრალდებულების წინააღმდეგ მამხილებელი ჩვენებები მისცენ. ადვოკატი ამბობს, რომ ამ ადამიანებმა, მოწმის სახით დაკითხვისას ცრუ ჩვენება მისცეს.

გუშინდელ სასამართლო სხდომაზე ბრალდებული ზურაბ გორნაკაშვილი დაიკითხა, რომელიც ამავე საქმეზე ბრალდებულია და მისი საქმის სასამართლო განხილვა, ბადურ ჩოფანაშვილთან ერთად, ცალკე მიმდინარეობს.

– მოწმემ თავიდანვე აღიარა დანაშაული და ითანამშრომლა გამოძიებასთან, რადგან სურს საპროცესო შეთანხმების გაფორმება. ამ პროცესებში შეჯიბრებითობის პრინციპის დასაცავად ჩემი მოთხოვნაა, ნუ ხდება ნურანაირი შეღავათების გაწევა ბრალდებულებისთვის, რადგან მათ ბრალად ედებათ მძიმე დანაშაულის ჩადენა.

ბრალდების მხარე გვეუბნება, რომ ბრალდებულებმა ჩაიდინეს მძიმე დანაშაული, ამისთვის მოეწყო ძალიან დიდი შოუ, მასობრივი სპეცოპერაცია, გარდაცვლილია ადამიანი, და დღეს ის ადამიანი, რომელსაც ასეთი მძიმე დანაშაულის ჩადენაში ედება ბრალი, სხვა ბრალდებულებს ხელს ადებს, რათა ძალიან მალე გამოვიდეს გარეთ და ისარგებლოს შეღავათებით, – განაცხადა მარიამ კუბლაშვილმა.

ადვოკატი ასევე აღნიშნავს, რომ მოწმემ გამოძიებას არაერთხელ მისცა ჩვენება, რომლებიც ურთიერთგამომრიცხავი იყო.

– 7– ჯერ თუ 8-ჯერ არის დაკითხული ეს ადამიანი გამოძიების ეტაპზე და ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები აქვს მიცემული ყველა ჯერზე. მან დღეს პირდაპირ აღიარა, რომ გამოძიება მოატყუა და თავიდანვე ცრუ ინფორმაციები მიაწოდა მათ. ის არის ცრუ მოწმე. მე დღეს ვაპროტესტებ ამ უსამართლობას და მივმართავ პროკურატურას, მას, ვინც დაინიშნება მთავარ პროკურორად, ამ ადამიანებთან არ გაფორმდეს არავითარი საპროცესო შეთანხმება და არ ისარგებლონ ამ ადამიანებმა არავითარი შეღავათებით. ამ მოწმეების გარდა, ბრალდების მხარეს არავითარი სხვა მტკიცებულება საქმეში არ აქვს. დღეს დაცვის მხარე აშკარად ვიჩაგრებით, – განაცხადა მარიამ კუბლაშვილმა.

❖ ❖ ❖

## ადვოკატი მოდებაძე: „იდოიძეს ბრალი უნდა მოეხსნას“



– მოწმემ დაადასტურა, რომ ახმედ ჩატაევის საქართველოში შემოყვანის საქმეში ზურაბ იდოიძე ბრმა იარაღად იყო გამოყენებული, – განაცხადა ბრალდებულ იდოიძის ადვოკატმა დათუნა მოდებაძემ.



მან ზურაბ გორნაკაშვილის ჩვენება იგულისხმა, რომელიც ამავე საქმეზე ბრალდებულია და მისი საქმის სასამართლო განხილვა, ბადურ ჩოფანაშვილთან ერთად, ცალკე მიმდინარეობს.

ადვოკატი მიიჩნევს, რომ მომდევნო პროცესზე პროკურატურამ იდოიძისთვის ბრალის მოხსნის დადგენილება უნდა წარადგინოს.

– იყო მხოლოდ და მხოლოდ ორი მოწმე, რომელიც იდოიძეს ირიბად ამხელდა დანაშაულის ჩადენაში. ორივე მოწმე დაიკითხა უკვე სასამართლოში, მათ შორის ერთ-ერთი დღეს. მოწმემ განაცხადა, რომ იდოიძე გამოყენებულ იქნა როგორც იარაღი, იდოიძემ არაფერი არ იცოდა და მან მეორე დღესვე, როცა ეს ამბავი მოხდა, გვისაყვედურა და მოგვთხოვა ამასთან დაკავშირებით პასუხი. მოწმემ ასევე ისიც დაადასტურა, რომ მას სთხოვა ჩატაევმა, მას შემდეგ რაც ის უკვე საქართველოში ჩამოვიდა, მოეძებნათ იდოიძე, რადგან არ ენდობოდა მას და სურდა კონტროლს ქვეშ ყოლოდა. შესაბამისად, მე ვთხოვ ზემდგომ პროკურორს, რომ შემდეგ პროცესზე, იმედია, ის წარმოადგენს დადგენილებას ბრალიდან ამორიცხვის შესახებ და იდოიძეს წარდგენილი ბრალი მოეხსნება, – განაცხადა დათუნა მოდებაძემ.

# უშიშროებაში დაბარებული ახალგაზრდა, რომელიც გაუჩინარდა

## შვილმოკლული დედა საქმის გამოძიებას ითხოვს



გუშინ 5 ივნისს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარში ადგილობრივმა მოსახლეობამ ზაზა სარალიძისა და მალხაზ მაჩალიკაშვილის მიმართ სოლიდარობის მიზნით აქცია გამართა.

კოხნარში მცხოვრები იამზე რამიშვილი, რომელიც აღნიშნულ აქციაზე იმყოფებოდა, მისი შვილის მკვლელობის საქმის გამოძიებას ითხოვს, რომელიც 1997 წლის 27 აგვისტოს ჩოხატაურის უშიშროებაში დაიბარეს და იქედან უგზო-უკვლოდ გაქრა, მოგვიანებით კი, მისი დასახიჩრებული გვამი სამტრედიის რაიონის სოფელ ქვაყუდეში აღმოაჩინეს.

– მაშინდელმა უშიშროების უფროსმა ელგუჯა ცინცაძემ და პოლიციის უფროსმა ავთანდილ ვასაძემ არაჯეროვნად გამოიძიეს საქმე, ხან სამტრედია იძიებდა, ხან ჩოხატაური, ხან ოზურგეთი და დღეს თაროზეა შემოდებული, – განაცხადა როლანდ რამიშვილის დედა იამზე რამიშვილმა.

შვილმოკლული დედა საქმის გამოძიებას ითხოვს და მოუწოდებს ხელისუფლებას, დასაჯოს მისი შვილის მკვლელები.

# გორში სწრაფი გადახდის აპარატი გატეხეს



გორში სწრაფი გადახდის აპარატი გატეხეს. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, შემთხვევა, სავარაუდოდ, 4 ივნისს, გვიან ღამით მოხდა.

როგორც შსს-ში აცხადებენ, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 177 მუხლის მეორე ნაწილის ა და ბ ქვეპუნქტით დაიწყო, რაც ქურდობას გულისხმობს და 3-დან 5 წლამდე ვადით პატიმრობას ითვალისწინებს.

# ადვოკატ ინგა არახამიას ბინას იარაღიდან ესროლეს

## „ამ შემთხვევას მილენა მითაიშვილის საქმეს ვუკავშირებ“



ადვოკატ ინგა არახამიას საცხოვრებელი ბინის ფანჯარას ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს. ადვოკატი სახლში იმყოფებოდა. სროლის შედეგად არავინ დაშავებულა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სსკის 236-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვატარებას გულისხმობს.

ადვოკატი სროლას მის საადვოკატო საქმიანობას უკავშირებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ არახამიამ განუცხადა, ერთადერთი საქმე, რომელზეც მის მიმართ მუქარები ისმის, ყოფილი პროკურორის მილენა მითაიშვილის საქმეა და სწორედ ამას უკავშირებს ადვოკატი მის სახლთან მომხდარ შემთხვევას.

არახამია შემთხვევის დეტალებზეც საუბრობს და აღნიშნავს, რომ არა ერთი, არამედ დაახლოებით 5 გასროლის ხმა გაიგონა.

– დაახლოებით 4-5 გასროლის ხმა გავიგე. თავდაპირველად იყო ალბათ 3-4 გასროლა მიყოლებით, შემდეგ იყო პაუზა და შემდეგ ერთი გასროლა. შუშა არის ორმაგი და მთლიანად ამოიღეს, ვინაიდან აქვთ ეჭვი, რომ ნასროლია ე.წ. „დრაბავიკიდან“ და შესაძლოა შუაშია ჩავარდნილი ტყვიის ნაწილები. ერთადერთი, რომელ საქმესაც ვუკავშირებ ამ შემთხვევას, არის მილენა მითაიშვილის საქმე, ვინაიდან არაერთი მუქარა არსებობს ამ საქმესთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა ეს უკავშირდება ჩემს საადვოკატო საქმიანობას, – განაცხადა ინგა არახამიამ.

შეგახსენებთ, რომ ყოფილი პროკურორის მილენა მითაიშვილის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების ფაქტზე მისი ყოფილი მეუღლე რივერა ბენდელიანი და კიდევ ორი პირი პასუხისგებაში მისცეს. პასუხისგებაში მიცემულ პირებს შორისაა რივერა ბენდელიანის ადვოკატი ინგა არახამია.

გარდა ამისა, გამოძიება მიმდინარეობს თავად მილენა მითაიშვილის წინააღმდეგაც, რომელსაც ყოფილი ძიძები ზეწოლასა და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებენ.

# 25 წლის თამარ გამრეკელაშვილის მკვლელობის საქმეზე პროკურატურამ წინასწარი გამოძიების ვადა გააგრძელა

ბარნოვის ქუჩაზე 25 წლის თამარ გამრეკელაშვილის მკვლელობის საქმეზე პროკურატურამ წინასწარი გამოძიების ვადა გააგრძელა.

საქმეზე წინასასამართლო სხდომა 6 ივნისს უნდა ჩატარებულიყო, თუმცა სახელმწიფო ბრალდებამ სასამართლოს გამოძიების ვადის გაგრძელების შუამდგომლობით მიმართა. გარდა ამისა, სასამართლომ ასევე მკვლელობაში ბრალდებულ ვეფხია ბაქრაძისა და დანაშაულის შეუტყობინებლობაში ბრალდებულ თეიმურაზ ბაქრაძის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებაც გადასინჯა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ვეფხია ბაქრაძის ადვოკატმა ლევან მარსაგიშვილმა განუცხადა, ის ბრალდებულისთვის ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას ითხოვდა, თუმცა სასამართლომ მისი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და ბაქრაძე პატიმრობაში დატოვა. ადვოკატს არ დაუკონკრეტებია, ითხოვდა თუ არა ბრალდებულისთვის გირაოს შეფარდებას.

წინასწარი გამოძიების ვადის გაგრძელებაზე პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემდეგ საქმეზე წინასასამართლო სხდომა 31 ივლისს დაინიშნა. როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ ხდება ცნობილი, 25 წლის გამრეკელაშვილის მკვლელობაში ბრალდებულს ბრალს დაუმძიმებენ და დამატებით ოჯახური დანაშაულის ჩადენის მუხლითაც წაუყენებენ ბრალს.

შეგახსენებთ, რომ 13 აპრილს, თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე 25 წლის თამარ გამრეკელაშვილს ორი მცირეწლოვანი შვილის თვალწინ, ყელი გამოჭრეს. მომხდართან დაკავშირებით შს სამინისტრომ 14 აპრილს, მოკლულის მამინაცვალი, ვეფხია ბაქრაძე თელეთში დააკავა.

გამოძიება 11 პრიმა 109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ოჯახში ძალადობის ნიადაგზე ჩადენილ განზრახ მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებაში გულისხმობს. აღნიშნული მუხლი 16-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ბარნოვის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე კიდევ ერთი პირი თემურ ბაქრაძე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით 15 აპრილს დააკავეს. ჩადენილი დანაშაული 2-დან 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



# 9 წელი ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისთვის

თბილისის საქალაქო სასამართლომ ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობაში ბრალდებულებს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ჯგუფურ ყაჩაღობაში ბრალდებულები ი.ჩ. და მ.ნ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 27 აგვისტოს, ღამის საათებში, ქ.თბილისში პნევმატური იარაღებით შეიარაღებულები ი.ჩ. და მ.ნ. ხელჩანთის მისაკუთრების მიზნით, საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში თავს დაესხნენ დედა-შვილს – თ.ც.-ს და მ.ც-ს., რა დროსაც ი.ჩ-მ. თავში იარაღის ჩარტყმით თ.ც -ს მიაყენა დაზიანება, შემდეგ კი ორივე თავდამსხმელი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა მ.ნ. 2017 წლის 27 აგვისტოს ქ.თბილისში, ხოლო ი.ჩ. 2017 წლის 2 სექტემბერს ქ.ზესტაფონში დააკავეს. მათ ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად) წარედგინათ და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ი.ჩ. და მ.ნ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

2018, 6 ივნისი, №132

# ნადეჟდა სავჩენკო სიცრუის დეტექტორზე გაატარეს

## შემოწმებამ მისი ბრალეულობა დაადასტურა



ყოფილი მფრინავის ნადეჟდა სავჩენკოს გარშემო აზვირთებული აჟიოტაჟი პიკს აღწევს. როგორც ცნობილია, სავჩენკოს უკრაინის პარლამენტის შენობაზე თავდასხმებსა და მასობრივი მკვლელობების მომზადებაში სდებენ ბრალს.

თავად სავჩენკო ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს. სიცრუის დეტექტორზე სავჩენკოს გატარება მისმა ადვოკატმა მოითხოვა.

— დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჩემს უდანაშაულობას საბოლოოდ დაამტკიცებს, — თქვა სავჩენკომ.

სიცრუის დეტექტორზე ბრალდებულის დაკითხვას როგორც უკრაინის უშიშროების სამსახურის თანამშრომლები, ასევე სავჩენკოს ადვოკატიც აწარმოებდნენ. ეს უკანასკნელი მთელს პროცედურას დაესწრო.

დაკითხვამ გამაოგნებელი შედეგები აჩვენა. ბრალდებული სავჩენკო უკრაინის ხელისუფლების დამხობას მართლაც გეგმავდა. მეტიც, ის ამ მიზნით ინტენსიურად ხვდებოდა სამხედროებს, აგროვებდა იარაღს და ა.შ. დამტკიცდა ისიც, რომ კიევის ცენტრში მასობრივი მკვლელობები მზადდებოდა. ეს პარლამენტზე თავდასხმის პარალელურად უნდა მომხდარიყო.

პროცედურის ბოლომდე მიყვანა ისევ სავჩენკოს გამო ვერ მოხერხდა. ექს—მფრინავმა ყოველივე უკრაინის უშიშროების სამსახურის პროვოკაციად მონათლა. სავჩენკომ პროტესტის ნიშნად შიმშილობა გამოაცხადა. თუმცა უმთავრესი უკვე დამტკიცდა: ტერაქტი მართლაც იგეგმებოდა და სავჩენკო მისი ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო.

ამრიგად სავჩენკოს საქმემ ახალი ელფერი მიიღო. ამას ჟურნალისტ ბაბჩენკოს გარშემო აზვირთებული აჟიოტაჟიც ემატება. როგორც უკრაინული საზოგადოება, ასევე დასავლეთიც უკრაინის ხელისუფლებისგან კონკრეტულ ქმედებებს მოელის. ჭეშმარიტება კი მარტივია: უკრაინაში არსებობს ძლიერი პრორუსული ლობი, რომელიც პუტინის ნათესავის მედვედჩუკის (რუსეთის პრეზიდენტი მისი ქალიშვილის ნათლიაა) გარშემოა შემოკრებილი. რაც უფრო რეალური ხდება უკრაინის ევრო-პერსპექტივა, მით უფრო ძლიერდება რუსეთის ზეწოლა. პუტინიც თავისი უკრაინული აგენტურისაგან კონკრეტულ ქმედებებს მოითხოვს. მხოლოდ პრორუსული პროპაგანდა არაფერს იძლევა. რუსული აგენტურაც რეალურ მოქმედებაზე გადადის. საუბარია დივერსიებზე, ტერაქტებზე, უკრაინისგან ახალ-ახალი ტერიტორიების ჩამოჭრაზე (აზოვის ზღვისპირეთი, უკრაინის სამხრეთი). შექმნილი ვითარება რუსული აგენტურის, კერძოდ, მედვედჩუკის მიმართ ქმედითი ზომების გატარებას მოითხოვს.

წავა ამაზე პოროშენკო?

# პუტინი ავსტრიაში ჩასვლას აპირებს



5 ივლისს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ავსტრიაში ჩავა. ამის თაობაზე თავად პუტინმა განაცხადა.

— ავსტრიის ხელმძღვანელობამ გამოთქვა სურვილი, რომ რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობები დაამყაროს. ჩვენ საამისოდ მზად ვართ, — ამბობს პუტინი.

მან ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულებას გააფორმებს როგორც ავსტრიასთან, ასევე იტალიასთან, უნგრეთთან თუ სხვა ქვეყნებთან.

— ევროპაში არის სახელმწიფოები, რომლებსაც, სანქციების მიუხედავად, ჩვენთან თანამშრომლობა უნდათ! ასეც მოხდება, — ამბობს რუსეთის პრეზიდენტი.

პუტინი დონბასის კონფლიქტსაც შეეხო და განაცხადა, რომ უკრაინის ხელმძღვანელობამ ჩეჩნეთის მაგალითი უნდა გაითვალისწინოს.

— ჩვენ ჩეჩნეთს ერთიანი რუსეთის შემადგენლობაში განსაკუთრებული სტატუსი მივეცით. ჩეჩნეთს ფაქტიურად საკუთარი არმიაც ჰყავს! ოფიციალური კიევიც თუ ასე მოიქცა, ომი დასრულდება, — ამბობს პუტინი.

მან საქართველოც გაიხსენა და თქვა, რომ თავის დროზე საქართველომ აფხაზეთთან მიმართებაში ასეთ მოდელზე უარი განაცხადა. შედეგმაც არ დააყოვნა. აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა.

— საქართველომ აფხაზეთიც და სამხრეთ ოსეთიც სამუდამოდ დაკარგა! უკრაინელებსაც ვურჩევ, ეს გაითვალისწინონ, — იმუქრება პუტინი.

# დონბასი: რუსი ოკუპანტების ზარალი იზრდება



გასული დღე-ღამის განმავლობაში რუსმა ოკუპანტებმა და სეპარატისტებმა უკრაინელებს ცეცხლი 30-ჯერ გაუხსნეს. განსაკუთრებით ინტენსიური სროლები გაიმართა ავდეევკის პრომზონასთან, ტალაკოვკასთან, შიროკინოსთან, მარინკასთან. მტერმა გამოიყენა ნაღმმტყორცნები, ტყვიამფრქვევები.

უკრაინელ მეომრებს შორის დანაკარგი არ არის. საპასუხო სროლის შედეგად უკრაინელების მიერ მოკლულია მტრის 2 ჯარისკაცი.

— უკრაინელებს ტყუილად უხარიათ, რომ ჩვენს ჯარისკაცებს ხოცავენ! ეს იმას ნიშნავს, რომ დონბასი უკრაინის შემადგენლობაში აღარასდროს დაბრუნდება! — აცხადებს ე.წ. დონეცკის რესპუბლიკის მეთაური ზახარჩენკო.

სოციოლოგიური კვლევები სხვაზე მიუთითებენ. მათ თანახმად, დონბასის მოსახლეობის 87%-ს მშვიდობა სურს, 64% თანახმაა უკრაინაში ნებისმიერი სტატუსით დაბრუნებაზე, ოღონდაც ომი შეწყდეს.

# ტრამპის რეიტინგი გაიზარდა



დონალდ ტრამპის პრეზიდენტად არჩევიდან 500 დღე გავიდა. ჟურნალისტების შეკითხვაზე, თქვენს მოღვაწეობას როგორ აფასებთო, ტრამპმა მიუგო:

— ძალიან დადებითად. მე მივაღწიე იმას, რისი მიღწევაც ვერც ერთმა ჩემმა წინამორბედმა ვერ შეძლო!

ტრამპს მხარს ამერიკელთა 52% უჭერს. რამდენიმე თვის წინ ეს მაჩვენებელი 36% იყო. ტრამპის რეიტინგის პირველი მატება მას შემდეგ დაიწყო, რაც ის უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდებას დათანხმდა. რეიტინგმა მკვეთრად იმატა მას შემდეგაც, რაც ტრამპის ბრძანებით სირიაში რუსეთის სატელიტის ასადის არმიას ამერიკელებმა ცეცხლი გაუხსნეს.

ამომრჩეველი ტრამპისგან რუსეთის წინააღმდეგ ხისტი პოლიტიკის გატარებას მოითხოვს.



# მოსკოვში უკრაინელი ჟურნალისტი გაასამართლეს

მოსკოვის სასამართლომ უკრინფორმის ჟურნალისტი რომან სუშჩენკო უკრაინის აგენტად გამოაცხადა. მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ამ განაჩენმა მთელი მსოფლიოს აღშფოთება გამოიწვია.

პრეზიდენტმა პოროშენკომ განაცხადა, რომ ამ უსამართლო განაჩენისთვის რუსეთი, ადრე თუ გვიან, პასუხს აგებს. სუშჩენკოსადმი სოლიდარობის მიტინგები ჩატარდა კიევში, ვარშავაში, მიუნხენში, ვილნიუსში, ტორონტოში, ბერლინში და ა.შ.

# მაიკ პომპეო თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ჩავუშოღლუს შეხვდა. მოლაპარაკებების ძირითადი თემა სირიაში აშშ-თურქეთს შორის თანამშრომლობა იყო.



მაიკ პომპეომ გამოთქვა იმედი, რომ აშშ-თურქეთს შორის არსებული ყველა სადავო საკითხი აღმოიფხვრება. ანკარა და ვაშინგტონი მჭიდროდ ითანამშრომლებენ.

— ეს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება, — თქვა ჩავუშოღლუმ.

# ჩინეთი აშშ-ს დაემუქრა

აშშ-ის ვაჭრობის მინისტრი როსი პეკინში ჩავიდა. ის ჩინეთის ვიცე-პრემიერმა ლიუ ჰემ მიიღო. მოლაპარაკებების ძირითადი თემა აშშ-ის მიერ რიგ ჩინურ საქონელზე საბაჟო გადასახადის შემოღება გახლდათ.

ლიუ ჰემ ვაშინგტონის აღნიშნული ნაბიჯის გამო უკმაყოფილება გამოთქვა. როსმა ამაზე მიუგო, რომ აშშ იძულებულია, თავისი ინტერესები დაიცვას.

— მაშინ ჩვენ იძულებულნი გავხდებით, აშშ-სთან დადებული ყველა სავაჭრო ხელშეკრულება გავაუქმოთ, — დაიმუქრა ლიუ ჰემ.

მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


# განცხადებები

**სხვადასხვა**

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● სილამაზის სალონს ესაჭიროება გამოცდილი ქალის სტილისტი, მანიკური/პედიკურის სპეციალისტი და კოსმეტოლოგი. მის. ბორჯომის ქ. 6 (დეზერტირების ბაზართან). ტელ: 597050903; 558153660.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულსისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება — კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

# ტერ შტეგენმა კარიერა სისხლიანი ცხვირითა და საკუთარ კარში გოლით დაიწყო

ძალიან მაგარი სეზონი ჩაატარა ბარსელონას მეკარე მარკ-ანდრე ტერ შტეგენმა და გერმანიის ნაკრებში კარგად იდგა. თუმცა, ზედ მსოფლიო ჩემპიონატის წინ გამოჯანმრთელდა ბუნდესნაკრების პირველი ნომერი მანუელ ნოიერი და ტერ შტეგენს სათადარიგოთა სკამზე მოუწევს გადანაცვლება.

არადა, ამ სეზონის მიხედვით, გერმანელი მეკარე მუნდიალზე თამაშს იმსახურებდა.

ტერ შტეგენზე საინტერესო წერილი გამოქვეყნდა და მის ცხოვრებას საინტერესო კუთხით გვანახებს.

## სისხლიანი ცხვირი – ისტორია იმაზე, თუ როგორ გახდა მეკარე

– 10 წლის ასაკში, მიონხენგლადბახში ვთამაშობდი. ჩვენი გუნდის მეკარეს ცხვირიდან სისხლდენები დაეწყო. ეს ხშირად ხდებოდა. არ ვიცი, რატომ. ერთხელ ეს თამაშის დროს დაემართა. მწვრთნელს მეკარე სჭირდებოდა, მაგრამ კარში ჩადგომა არავის სურდა. საბოლოოდ, მე ჩავდექი. თავიდან თავდამსხმელად ვთამაშობდი. გოლების გატანა მომწონდა. სწორედ ამისთვის ვთამაშობდი. ეს მაბედნიერებდა.

კარში ჩავდექი და... მომეწონა. ჩემში ძირეული ცვლილებები არ მომხდარა, მეკარეობა უცებ არ შემყვარებია, მაგრამ სახალისო იყო. რაც დრო გადიოდა, კარში თავს უფრო და უფრო კომფორტულად ვგრძნობდი. თანაგუნდელები და მშობლები მეუბნებოდნენ, რომ კარგად ვთამაშობდი. თუმცა, ამის მიუხედავად, გოლების გატანა უფრო მომწონდა, ვიდრე მეტოქის მოწინააღმდეგეების შეჩერება.

სახლში, პატარა ბაღი გვქონდა, რომელშიც ბურთის თამაშის უფლებას არ გვაძლევდნენ. მე და ჩემი უფროსი ძმა ამისთვის ავტოფარეხს ვიყენებდით. ჩემი ძმა კარში იდგა ხოლმე, მე კი ვურტყამდი. კარს ყუთებით, მაისურებით ან სხვა საგნებით ვნიშნავდით. როდესაც 4 წლის ვიყავი, ბაბუამ მითხრა, რომ აინტერესებდა, მოვახერხებდი თუ არა მიონხენგლადბახის ბორუსიას სკოლაში თამაშს. მას ახლობელი ჰყავდა, რომელიც ამაში დაგვეხმარებოდა.

გუნდს შევუერთდი. მაგრამ ზედმეტად პატარა ვიყავი იმისათვის, რომ მივმხვდარიყავი, თუ რას ნიშნავდა იყო გლადბახის დონის კლუბის წევრი.

როგორც უკვე ვთქვი, მანამდე, მხოლოდ ჩვენს პატარა ავტოფარეხში მქონდა ნათამაშები. ასეთ დროს, როდესაც ბურთს კედელს ურტყამ, მხოლოდ ერთი მიმართულება არსებობს. ასე არაა? მხოლოდ კედელი. ბურთს ყოველთვის ერთი მიმართულებით ურტყამ და ისიც ყოველთვის გიბრუნდება. არც კი მიფიქრია, რომ მოედანს 2 მხარე, 2 მიმართულება ჰქონდა.

როდესაც ბურთი მივიღე, დედისა და ბაბუის ყვირილი გავიგე. ამ დროს გავიფიქრე – პირველივე ცდაზე კარად უნდა ვითამაშო. მე წინ მივდიოდი, ისინი კი ყვირილს განაგრძობდნენ. გოლი გავიტანე და კარს უკან მდგომმა ადამიანმა მითხრა, რომ არასწორი მიმართულებით ვუტევდი.

პირველი გოლი კარგი ნამდვილად ვერ გამოვიდა. დღეს, ამაზე მეცინება. ამან დამაბნია? არავითარ შემთხვევაში! ბედნიერი ვიყავი იმით, რომ გავიტანე! ჰკითხეთ დედას და ბაბუას... ამ შემთხვევაზე ისინი გეტყვიან, რომ გატანილი გოლით ძალიან ამაყი ვიყავი.

არ ვიცი, რას ფიქრობდა ბაბუა. ვფიქრობ, ის ამაყი იყო იმით, რომ გლადბახში ვთამაშობდი. ისევე, როგორც დედა და ბებია. მამას ფეხბურთი დიდად არ უყვარდა, მაგრამ ბაბუა ფანი იყო. სწორედ მას დავყავდი ვარჯიშებზე. მისი მანქანა უნაკლო იყო. არ აქვს მნიშვნელობა მოდელს. ის ძალიან სუფთა იყო. ბაბუა პოლიციის ყოფილი თანამშრომელი იყო – კრიმინალთან ბრძოლის დეპარტამენტის უფროსი.

ბაბუასთან ახლო ურთიერთობა მქონდა. როდესაც ვარჯიშზე მივდიოდი, მანქანის უკანა სავარძელში ტკბილეული ყოველთვის მელოდა. არ ჰქონდა მნიშვნელობა, ციოდა, წვიმდა თუ როგორი ამინდი იყო, ბაბუა ჩემს ვარჯიშს თვალს ყოველთვის ბოლომდე ადევნებდა. ზოგჯერ, ასე იქცეოდნენ დედა და ბებიაც. როდესაც ტურნირზე ვთამაშობდით, რაც არ უნდა შორს ვყოფილიყავით, ბებია და ბაბუა ყოველთვის მოდიოდნენ და ტკბილეული მთელი გუნდისთვის მოჰქონდათ. ეს არ იყო დაჭრილი ფორთოხალი. ზოგჯერ, ბაბუას პომიდორი და წიწაკა მოჰქონდა. უფრო ხშირად კი ეს იყო ხილი, ბოსტნეული და სახლში გამომცხვარი პური.

როდესაც წამოვიზარდე, თავს ცოტათი უხერხულად ვგრძნობდი, როდესაც ისინი თან მახლდნენ. ვფიქრობ, ასეა ყველა ბავშვი, როდესაც მისი ოჯახი ახლოსაა. ყოველთვის ცდილობ, მაგარი ბიჭი იყო. ახლა, როდესაც უკან ვიხედები, ვამაყობ, რომ ისინი მუდამ ჩემთან იყვნენ, ჩემზე ზრუნავდნენ და მხარს მიჭერდნენ. ამასთანავე, მათგან ზეწოლას არასდროს ვგრძნობდი.

იმ დროზე ფიქრის დროს, ნოსტალგია მომეძალება ხოლმე. ბებია და ბაბუა ისე ზრუნავდნენ ჩემზე... ისინი ჩვენი სახლიდან 10-15 წუთის სავალზე ცხოვრობდნენ და ისეთი ბედნიერი ვიყავი ხოლმე, როდესაც მათთან ღამით დარჩენის საშუალება მქონდა... ბებია, დილით, ჯემიან პურს გამიმზადებდა ხოლმე. ძალიან გემრიელი იყო.

იმ დროს, ბაბუა მუდმივად ჩიბუხს ეწეოდა. შემდეგ მან თავი დაანება და მეც არასდროს მომიწევია. ახლაც მძულს. მაგრამ... ის სუნი... ის სუნი მიყვარს. ვერ ვიტყვი, რომ ეს კარგი სუნია. უბრალოდ... მოგონების სუნია. როდესაც პატარა ვიყავი, ბაბუას კალთაში ვეჯექი ხოლმე. ის ოჯახის ფოტოებს მათვალიერებინებდა, ან ძველ ფილმებს ვუყურებდით. მან იმდენი რამ მასწავლა... სიკეთე, ცხოვრებისეული გაკვეთილები...

თუმცა, მთავარი ის იყო, რომ ბაბუა და ბებია მწვრთნელს არასდროს დაელაპარაკებოდნენ, თუ საკმარის სათამაშო დროს არ მივიღებდი. არც მე მინდოდა ვინმეს ჩემთვის ეთქვა, როგორ უნდა მეთამაშა. ბაბუამ ეს იცოდა. ასე რომ, ფეხბურთზე იშვიათად ვსაუბრობდით. უცნაურია, მაგრამ ეს ის საკითხი იყო, სადაც წარმატების დამოუკიდებლად მიღწევა მსურდა. ზოგჯერ, ის ცდილობდა ჩემთვის ეთქვა, როგორ თამაშობდნენ სხვა მეკარეები: მე მას არ ვუსმენდი. მისთვის ისიც კი არ მითქვამს, რომ ერთ დღეს, მწვრთნელმა ულტიმატუმი წამიყენა.

როგორც უკვე აღვნიშნე, როდესაც ჩვენს მეკარეს ცხვირიდან სისხლდენები დაეწყო, გუნდს კარში ვეხმარებოდი. თამაშის თავდასხმაში გაგრძელება მინდოდა, მაგრამ წინ ჩემი თამაში მწვრთნელს არ მოსწონდა. ისე ვერ დავრბოდი, როგორც მას სურდა.

– სირბილის დროს, ფეხს საკმარისად მაღლა არ წევ, – მითხრა მან, როდესაც ჯერ მხოლოდ 10 წლის ვიყავი, – ჩვენთან ან მეკარედ ითამაშებ, ან სხვა კლუბში გადახვალ.

ფიქრი არც კი მჭირდებოდა. გადაწყვეტილება მივიღე. სხვა კლუბი ჩემით დაინტერესებული იყო და თავდასხმაში თამაშს მიპირებდა. მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. გოლების გატანა მნიშვნელოვანი აღარ იყო. მნიშვნელობა გლადბახში დარჩენას ჰქონდა. ამას ერთი მიზეზი აქვს – სახლი.

როდესაც 4 წლის ვიყავი, მხოლოდ ეს კლუბი მსმენოდა. იმ დროს,



როდესაც მწვრთნელმა ულტიმატუმი წამიყენა, ჩემი მშობლები დაშორებულები იყვნენ. ჩემი ოჯახი დაიშალა და ფეხბურთი ჩემი იდენტობის უფრო დიდი გამოხატულება გახდა, ვიდრე ადრე. მიონხენგლადბახი საჩემო იყო. ბაბუასთან ერთად მგზავრობა, ტკბილეული უკანა სავარძელზე, პომიდორი და წიწაკაც და სხვა, ყველაფერი მაბედნიერებდა. ჩემთვის, ეს ყველაფერი იყო.

წასვლა არ შემეძლო. არ მაღელვებდა, რა პოზიციაზე ვითამაშებდი. გოლების გატანა მნიშვნელოვანი აღარ იყო. გლადბახში ყოფნა მინდოდა. თამაშის აქ გაგრძელება მსურდა. და მიზნების შეცვლა ვისწავლე. დავრჩი და მეკარე გავხდი.

ვფიქრობ, რომ თავდასხმაში თამაშმა განსხვავებულ მეკარედ მაქცია. მოედანს სხვაგვარად ვხედავდი და მას სხვაგვარად ვიყენებდი. ნელ-ნელა, აკადემიის სხვა მეკარეებზე უკეთ თამაში დავიწყე. როდესაც ფეხბურთელები 14 წლის ხდებიან, გლადბახში დიდი შემცირება იწყება. ეს რთული მომენტია. ვგულისხმობ იმას, რომ ჯერ კიდევ პატარა ბავშვი ხარ, როდესაც გეუბნებიან, რომ აღარ სჭირდები.

14-15 წლის ვიყავი და ჩემი მწვრთნელი, თამაშის შემდეგ, ჩემზე ძალიან გაბრაზებული იყო. არ მახსოვს, რის გამო. მხოლოდ მისი სიბრაზე მახსოვს, როგორ იმედგაცრუებული იყო ჩემით. მახსოვს, თანაგუნდელების თანდასწრებით მითხრა, თუ რამდენად ცუდი ვიყავი... მთელი გუნდის წინ. მწვრთნელი მანამდე ასე არასდროს დამლაპარაკებია.

როდესაც დედის მანქანაში ჩავჯექი, ვიტირე. რამდენიმე დღის შემდეგ ვიფიქრე – კი, ცუდი თამაში მქონდა და ამას უნდა შევეგუო. ამ მწვრთნელმა ზუსტად იცოდა, რაზე მქონდა სამუშაო. იყო ის ჩემ მიმართ მკაცრი? რა თქმა უნდა. სიმართლე გითხრათ, ეს სიმკაცრე მჭირდებოდა კიდეც. მჭირდებოდა ვინმე, ვინც მეტყოდა, რა გზა უნდა გამევლო, თუ პროფესიონალი ფეხბურთელობა მინდოდა. უფრო ძლიერი უნდა გავმხდარიყავი... ბევრი რამ მქონდა გამოსასწორებელი.

ვფიქრობ, სწორედ ამ მომენტში გადავწყვიტე, კონცენტრაცია სრულად ფეხბურთზე მომეხდინა. საკუთარი თავის მიმართ უფრო მკაცრი გავხდი. დედასთან და ბაბუასთან ფეხბურთზე ლაპარაკი არ მინდოდა. მსურდა, ყველაფრისთვის თავად მიმეღწია. უფრო დამოუკიდებელი გავხდი. როდესაც 15 წლის გავხდი და სკუტერის ტარება შემეძლო, ბაბუას ვუთხარი, რომ ვარჯიშზე ყოველდღე წაყვანა აღარ მჭირდებოდა. მინდოდა, ჩემს გზას დამოუკიდებლად გავყოლოდი. ბაბუასთვის ეს სიტუაცია რთული იყო, მაგრამ ის დამთანხმდა.

და მაინც, როდესაც წვიმდა, შინ დაბრუნებამდე 10 წუთით ადრე ტელეფონი რეკავდა:

– ხომ არ გინდა წამოგიყვანო? - მეკითხებოდა ბაბუა.

– რა თქმა უნდა, კარგი იქნება.

მას შემდეგ, ტკბილეული აღარ მელოდა. უფრო პროფესიონალურად უნდა მოვქცეულიყავი.

მაშინაც კი, როდესაც პირველ გუნდში ჩემი გამოძახება დაიწყეს, არ შემეძლო, ოჯახი თან მხლებოდა. ვიცოდი, რომ ეს მობილიზებაში ხელს შემიშლიდა. რაც თავი მახსოვს, ბაბუა ამ კლუბს გულშემატკივრობდა. იმაზე ფიქრს ვერ ვწყვეტდი, როგორ რთულად მიიღებდა დედა, თუ ცუდი თამაში მექნებოდა და ხალხი დამისტვენდა. როდესაც პირველად გამომიძახეს, სეზონის დასრულებამდე 8 თამაში იყო დარჩენილი და ყველა მათგანზე მარტო წავედი. ეს გზა დამოუკიდებლად უნდა გამევლო.

მომდევნო სეზონებში ბაბუა მუდმივად ტრიბუნებზე იყო. კლუბის მაისურით ჩატარებული ბოლო მატჩის დროს, ვერც კი წარმომედგინა, მისი და დედას გარეშე როგორ უნდა ვყოფილიყავი. ან ჩემი მომავალი მეუღლის ოჯახის გარეშე. უფრო თავდაჯერებული გავხდი და მარტო სიარული აღარ მსურდა.

როდესაც 2014 წელს, გლადბახიდან ბარსელონაში გადასვლის შანსი მომეცა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიმეღო. ოჯახი და კლუბი, ჩემთვის, ყველაფერი იყო. როგორ მიმეტოვებინა ორივე? მაგრამ, წასვლის გადაწყვეტილება ორი მიზეზით მივიღე. პირველი, რა თქმა უნდა, ბარსელონას თამაშის სტილი იყო. ყოველთვის ვიცოდი, რომ ერთადერთი გუნდი, რომლის გამოც გლადბახს დავტოვებდი, ბარსელონა იქნებოდა. ამ გუნდის თამაშის სტილი ისეთი მეკარისთვის, რომელიც ფეხით ხშირად თამაშობს, შესანიშნავი შესაძლებლობაა.

მეორე მიზეზი კი მოგვიანებით გამოჩნდა, როდესაც ანდონი სუბისარეტას შევხვდი.

მახსოვს, აგენტმა მითხრა, რომ ბარსელონას ჯერ ჩემთან საუბარი სურდა. მათ სურვილი იყო, წარმოდგენა შეექმნათ ჩემზე, როგორც პიროვნებაზე და ასევე იმაზე, თუ როგორ მოვერგებოდი მათ გასახდელს.

კლუბმა ჩემთან შესახვედრად სუბისარეტა გამოგზავნა. არ ველოდი, თუ ის ჩემს გადაწყვეტილებაზე ამხელა გავლენას მოახდენდა. საუბრის დაწყების მომენტიდანვე მასთან რაღაც კავშირი დავინახე. ის კლუბზე, ისტორიასა და მის გამოცდილებაზე მიყვებოდა. მან მითხრა, რას ნიშნავს ახალ კლუბში და ქალაქში გადასვლა. მან მიჩვენა, რას ნიშნავს, იყო ბარსელონას ფეხბურთელი. ის უბრალო, თბილი პიროვნება იყო.

ამის შემდეგ დავრწმუნდი, რომ მინდოდა წავსულიყავი და ამ შესანიშნავი კლუბის ნაწილი გავმხდარიყავი.

ვიცი, რას ამბობს ხალხი ხშირად: მარკ ტერ შტეგენი? ის ცივია. შესაძლოა, იმის გამო, რომ გერმანელი ვარ. მაგრამ ვიცი, როგორი ვარ და არ მინდა, ხალხს ცივ ადამიანად მივაჩნდე.

ბარსელონას ფერებს სიამაყით ვატარებ. მაგრამ, ჩემთვის, ეს მეტია, ვიდრე ფეხბურთი. ქალაქი, გულშემატკივრები... ვერასდროს იგრძნობ, რომ მარტო ხარ. ვერც იქნები. აქ ასე არ ხდება. ამას გარედან ვერ დაინახავთ.

როდესაც აქ გადმოვედი, ასეთ რამეს ვერც წარმოვიდგენდი. ესპანურად ცუდად ვლაპარაკობდი. მახსოვს, გასახდელში ჩემი პირველი შესვლა. ძალიან ბედნერი ვიყავი, რადგან იმ დროს კლუბმა ივან რაკიტიჩიც შეიძინა. მან გერმანულიც იცოდა და ესპანურიც და პირველ თვეებში ის ჩემი თარჯიმანი იყო. ის მეხმარებოდა, როდესაც კითხვები მებადებოდა და მიხსნიდა მწვრთნელის ინსტრუქციებს, როდესაც ბოლომდე არ მესმოდა. მეხმარებოდა რაფინიაც, რომელმაც კლუბი ცოტა ხნის წინ დატოვა. ჩვენ ინგლისურად ვლაპარაკობდით, შემდეგ კი, ესპანურზე გადავედით. ის, გასახდელში, ჩემს გვერდით იჯდა და ჩვენ ერთმანეთთან კვლავ კარგი ურთიერთობა გვაქვს.

თუმცა, ამ ბიჭების უკეთ გასაცნობად, მათთან უფრო სიღრმისეული საუბარი მჭირდებოდა და ესპანურის შესწავლა დავიწყე.

ჩვენ ვამბობთ, რომ ვართ – მეტი, ვიდრე კლუბი – და არ ვაპირებ, კლუბის რეკლამა გავაკეთო, მაგრამ ზოგჯერ ეს ერთადერთი გზაა. აქ რაღაც უფრო მეტია.

როდესაც 2016 წლის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის წილისყრის შედეგები ვნახე და გავიგე, რომ ბარსელონა გლადბახს ხვდებოდა, არ ვიცოდი რა მჭირდა. თავიდან, ამით ბედნიერი არ ვიყავი.

მოგვიანებით, ჩემი გერმანელი მეგობრისგან, ანდესგან მივიღე შეტყობინება, რომელშიც მხოლოდ სმაილები იყო.

შემდეგ კი ვიფიქრე, რომ ეს არის შანსი, ჩემს სახლში ყველა კიდევ ერთხელ ვნახო. მაგრამ როგორი იქნებოდა ჩემი ძველი კლუბის რეაქცია? რას იტყოდნენ გულშემატკივრები?

როდესაც ჩავედით, ყველაფერი ისევ შინაური იყო, მაგრამ ცოტა სხვანაირი. ცხოვრებაში პირველად, სტადიონზე სტუმრების შესასვლელიდან შევედი. სტუმრების გასახდელში დავჯექი. ასეთი რამ მანამდე არასდროს გამეკეთებინა. გახურების დროსაც, თავს ვაკონტროლებდი, რომ მოედნის მეორე მხარეს არ გადავსულიყავი.

როდესაც მოედანზე გავედი, ტრიბუნებზე ავიხედე და დავინახე, რომ გულშემატკივრები ფეხზე წამოდგნენ და ტაში დამიკრეს. ძალიან ემოციური მომენტი იყო. მთელს ტანზე დამბურძგლა და ცრემლებს ვერ ვიკავებდი. 18 წელი დიდი დროა. სწორედ ამდენი დრო გავატარე გლადბახში. ეს ჩემი ცხოვრება იყო. ამაყი ვიყავი იმით, რომ გულშემატკივრები თბილად დამხვდნენ. იმ საღამოს, მოედნის დატოვების დროს, განსხვავებული განცდა მქონდა. გლადბახი, ჩემთვის, ყოველთვის განსაკუთრებული იქნება. ფეხბურთელად ამ კლუბში ჩამოვყალიბდი და ამ კლუბმა მომცა საშუალება, ამეხდინა ყველა ბავშვის ოცნება და „კამპ ნოუზე“ მეთამაშა.

ვიცი, რომ ზოგიერთი ადამიანი მიცნობს როგორც ბარსელონას გერმანელი მეკარე, მაგრამ ახლა, იქნებ, მათ ჩემი უკეთ გაიგონ.

იცით, რომ ჩემი ბაბუა „კამპ ნოუზე“ ჯერ კიდევ არაა ნამყოფი? მას სულ ვეუბნები, რომ უნდა მოვიდეს და ერთ დღეს ასეც მოხდება. და თუ „კამპ ნოუს“ სიახლოვეს ნახავთ მოხუც კაცს, რომელიც პომიდორსა და წიწაკას ყიდულობს, იცოდეთ, რომ ის მოვიდა.

## შედეგები

**4 ივნისი**

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| მოლდოვა-სომხეთი | 0:0 |
| სერბეთი-ჩილე | 0:1 |
| სლოვაკეთი-მაროკო | 1:2 |
| იტალია-ჰოლანდია | 1:1 |

**ამხანაგური მატჩები (21)**

| | |
|---|---|
| ყაზახეთი-აზერბაიჯანი | 1:1 |

## შენგელიას გუნდი ფინალისკენ მიიწევს

თორნიკე შენგელიას ბასკონიამ ესპანეთის ჩემპიონატის ნახევარფინალური სერია იოლი გამარჯვებით დაიწყო. ბასკურმა გუნდმა კატალონიურ ბარსელონას უმასპინძლა და 86:61 გაანადგურა.

შენგელია სათადარიგო იყო და მოედანზე მთლიანობაში 17 წუთით გამოჩნდა, თუმცა ეს დრო საკმარისი იყო საიმისოდ, ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი დაეფიქსირებინა. თორნიკემ 4-დან 3 ორქულიანი, 3-დან 2 სამქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. ჯამში თორნიკემ 13 ქულა, 5 მოხსნა და თითო პას-დაფარება მიითვალა.

ქართველი ფორვარდის სარგებლიანობის ინდექსმა 17 შეადგინა, რაც ბასკონიის გერმანელ ცენტრ იონას ვოიგტმანთან (9 ქულა, 9 მოხსნა, 4 პასი) ერთად მატჩის საუკეთესო შედეგი გახლდათ.

ბასკონია სერიაში 1:0 დაწინაურდა, თუმცა ფინალში გასვლამდე კიდევ 2 გამარჯვება სჭირდება. სერიის მეორე მატჩი ისევ ბასკონიელთა მოედანზე გაიმართება.

მეორე ნახევარფინალურ სერიაში მადრიდის რეალი 1:0 უგებს გრან კანარიას.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*



# ძიუდოს ფედერაციის აღმასკომი ხაბარელის წევრობის შეჩერებაზე ალაპარაკდა



საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში გაუგებრობა გრძელდება. ფედერაციის გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გუშინ, 12:00 საათზე, აღმასრულებელი კომიტეტის შეხვედრა იყო ჩანიშნული. თუმცა, ფედერაციაში მისულ ჟურნალისტებს მხოლოდ რამდენიმე თანამშრომელი დაგვხვდა ადგილზე. მათი განცხადებით, საერთოდ არ ჰქონდათ ინფორმაცია აღნიშნული სხდომის შესახებ.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, სხდომა მაინც ჩატარდა, მაგრამ სად, ეს უცნობია. თუმცა, დეტალები მაინც გაჟღერდა.

2018 წლის 5 ივნისს საქართველოს ძიუდოს აღმასკომის სხდომაზე მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილებები.

1. დადგენილება სამუშაო ჯგუფის შესახებ:

აღმასკომის 5 წევრისგან შეიქმნას სამუშაო ჯგუფი. ამავე ჯგუფისა და ძიუდოს ფედერაციის ეფექტიანი და სწრაფი მუშაობის უზრუნველსაყოფად, ჯგუფში წევრის სტატუსით მყოფ ძიუდოს გენერალურ მდივანს დაეკისროს ფედერაციის მმართველობითი ფუნქციების განხორციელება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ წარმოშობილი ურთიერთობების დასარეგულირებლად. გენერალური მდივანი ამ პერიოდში განხორციელებული უფლებამოსილების დროს ანგარიშვალდებულია როგორც აღმასკომის, ასევე ყრილობის წინაშე.

სამუშაო ჯგუფში შედიან: ზაქრო კევლიშვილი, გიორგი ათაბეგაშვილი, თენგიზ ხუბულური, ზაზა გულბიანი, მამუკა ნავერიანი;

2. თანაშემწე მწვრთნელების მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა:

მწვრთნელები, ამირან ტოტიკაშვილი და ნოდარ მეტრეველი დანიშნულნი იქნან საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრები გუნდის თანაშემწე მწვრთნელების მოვალეობის შემსრულებლად.

3. აღმასკომის წევრის, შოთა ხაბარელის ქმედების შეფასების საკითხი:

აღმასკომმა განიხილა მისი წევრის, შოთა ხაბარელის ქმედებები უკანასკნელ პერიოდში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. რადგან მის ქმედებებში არსებობს წევრის სტატუსისთვის შეუფერებელი საქციელის ნიშნები, აღმასკომმა გადაწყვიტა უახლოეს სხდომაზე იმსჯელოს მისი წევრობიდან გარიცხვის თაობაზე.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# პოლ პოგბა: „ხალხის აზრი არ მაინტერესებს“



მანჩესტერ იუნაიტედის ნახევარმცველმა პოლ პოგბამ განაცხადა, რომ მას თავისი თამაშის სტილი აქვს, რომლის შეცვლას არ აპირებს.

პოგბას აზრით, ყველას ვერ მოეწონები, ამიტომ საჭირო არ არის, ყველა ადამიანის აზრი გაითვალისწინო.

– მე ხალხისთვის ვთამაშობ, მაგრამ ყველას თავისი აზრი აქვს და მათ გამო თამაშის სტილს არ შევცვლი. მომავალში უფრო უკეთ უნდა ვითამაშო, რადგან პროგრესი ყოველთვის აუცილებელია. მანჩესტერში ბედნიერი ვარ და წასვლას არ ვაპირებ, – განაცხადა პოგბამ. პოგბამ მსოფლიოს ჩემპიონატზეც ისაუბრა და თქვა, რომ საფრანგეთს გამარჯვების კარგი შანსი აქვს.

# სტეფან ლიხშტაინერი არსენალში გადავიდა

შვეიცარიელი ვეტერანი მცველი სტეფან ლიხშტაინერი კარიერას ლონდონის არსენალში გააგრძელებს. ლიხშტაინერი ამჟამად 34 წლის არის და ის არსენალს თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა. ლიხშტაინერმა იუვენტუსში 7 წელიწადი გაატარა და 6-ჯერ მოიგო იტალიის ჩემპიონატი, თუმცა ბოლო წლებში ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და მისი წასვლა იუვენტუსიდან ლოგიკური იყო.

ლიხშტაინერი კონტრაქტს რამდენიმე დღეში მოაწერს ხელს.

# მარიო ბალოტელის ნაკრების კაპიტნობა სურს



მარიო ბალოტელიმ საინტერესო ინიციატივა გამოთქვა იმაზე, რომ იტალიის ნაკრების კაპიტანი გახდეს. ბალოტელის აზრით, ეს კარგი მესიჯი იქნება რასიზმის წინააღმდეგ. ბალოტელის ბევრმა მხარი დაუჭირა, მაგრამ გამოითქვა მოსაზრებაც, რომ კანის ფერის გამო არავინ უნდა სარგებლობდეს პრივილეგიებით.

ბალოტელი იტალიის ნაკრებში რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა, მას შემდეგ, რაც მთავარი მწვრთნელი რობერტო მანჩინი გახდა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ბილ კლინტონმა დეტექტიური რომანი დაწერა



აშშ-ის ექსპრეზიდენტმა ბილ კლინტონმა დაწერა რომანი სათაურით „პრეზიდენტი გაქრა“. ესაა პოლიტიკური თრილერი, რომლის მოქმედებაც კლინტონის პრეზიდენტობის დროს ხდება.

– ჩემი თანაავტორია ცნობილი მწერალი პეტერსონი, ავტორი დეტექტიური რომანებისა კერძო მაძებარ ალენ კროსზე, – განუცხადა ჟურნალისტებს კლინტონმა.

აშშ-ის ექსპრეზიდენტის რომანის მიხედვით ტელესერიალს გადაიღებენ.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ავსტრალიელი სახლში ველურ ძაღლ დინგოებთან ერთად ცხოვრობს



ავსტრალიელმა ქალმა ჩვეულებრივი შინაური ძაღლის ნაცვლად სახლში ორი ველური ძაღლი დინგო მიიყვანა.

24 წლის ლიზა ჯენკინზი ამტკიცებს, რომ მთელი ცხოვრება ძაღლის ყოლაზე ოცნებობდა. 2015 წელს ის და მისი მეგობარი მამაკაცი იმ ორგანიზაციის ვებ-გვერდს ათვალიერებდნენ, რომლებიც უპატრონო ცხოველებისთვის პატრონებს ეძებენ. ერთგან მათ ნახეს დინგოს ლეკვი – ჩოპა, რომელიც მშობლების გარეშე იყო დარჩენილი. ჯენკინზმა არაფერი იცოდა ამ ცხოველის შესახებ და გადაწყვიტა სახლში მიეყვანა.

ქალი მაშინვე გარშემომყოფთა ნეგატიურ დამოკიდებულებას წააწყდა.

– გამუდმებით მეუბნებოდნენ, რომ დინგო სახიფათოა, რომ ისინი საშინელები არიან, – იხსენებს ჯენკინზი.

ამის საფუძველი არსებობდა, ცნობილი იყო შემთხვევები, როდესაც ადამიანები ველური დინგოს მსხვერპლად იქცნენ. ავსტრალიის კვინსლენდის, ტასმანიისა და სამხრეთ ავსტრალიის შტატებში მათი სახლში ყოლა აკრძალულია. ვიქტორიას შტატში, სადაც ჯენკინზი ცხოვრობს, ამისთვის სპეციალური ნებართვაა საჭირო.

– ჩვენ შევისწავლეთ ეს საკითხი, თუმცა მაინც მოუმზადებლები აღმოვჩნდით იმ სირთულეებისთვის, რომელსაც ჩვენ წავაწყდით, – აცხადებს ჯენკინზი. აღმოჩნდა, რომ დინგო ვერ იტანს მარტოობას. ამ დროს მათ საფრთხის შეგრძნება და დეპრესია უვითარდებათ. ისინი დესტრუქციული ქმედებებისკენ მიდრეკილები ხდებიან. ქალი მიხვდა, რომ ჩოპას ახლობელი სჭირდებოდა და ნახევარი წლის შემდეგ სახლში მეორე დინგო მიიყვანა, რომელსაც სახელად ტორი დაარქვა.

მიუხედავად პოტენციური საფრთხისა, ავსტრალიელს მათთან განშორება არ სურს და აცხადებს, რომ ისინი მისი ცხოვრების შემადგენელი ნაწილები არიან, რომ ერთგულობენ და უყვართ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ასტროპროგნოზი

## 6 ივნისისთვის



**ვერძი** – ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. საქმიანი კონტაქტები იღბლიანად წარიმართება. **კურო** – ინტიმურ სფეროში იმარჯვებთ. არ არის გამორიცხული, ახალი გატაცება გამოგიჩნდეთ. **ტყუპები** – კრიტიკული დღეა. ფრთხილად იყავით, არ იჩხუბოთ. დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **კირჩხიბი** – კოსმოსიდან დიდ ენერგიას იღებთ. როგორც სამსახურებრივ, ისე საოჯახო პრობლემებს იოლად მოაგვარებთ. **ლომი** – ეს დღე სულიერ წონასწორობასა და სიმშვიდეს გპირდებათ. აგიმაღლდებათ შრომისუნარიანობა. **ქალწული** – ბიზნესში წარმატებას მიაღწევთ. გაგიუმჯობესდებათ ფინანსური მდგომარეობა. შესაძლოა, ვალი დაგიბრუნონ. **სასწორი** – დღის პირველ ნახევარში სამსახურში დაბრკოლებები შეგხვდებათ. მატერიალური მდგომარეობა ოდნავ უარესდება. **ღრიანკალი** – საკუთარ ჯანმრთელობას ყურადღებით მოეკიდეთ. ზომიერად დაკავდით სპორტით. **მშვილდოსანი** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა ახალი საქმის დასაწყებად, შემოქმედებითი არეალის გასაფართოებლად. **თხის რქა** – საქმიანი კონტაქტებისათვის შესაფერისი დრო არ არის. ახალი ნაცნობობა ნეგატიურ შედეგს გამოიღებს. **მერწყული** – თუ გონიერი ადამიანის რჩევას არ გაითვალისწინებთ, დაზარალდებით. შინაგან დაძაბულობას თავს მარტივად ვერ დააღწევთ. **თევზები** – მიზნის მიღწევისთვის საბრძოლველად არაკეთილისმყოფელი დღეა. ერიდეთ სარისკო ფინანსურ ოპერაციებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. პატარა სასაუზმე გერმანიაში; 2. ღვინის, ხის კასრების დამამზადებელი ოსტატი; 3. ნივთიერების დაშლა მაღალ ტემპერატურაზე; 4. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 8. მიწისქვეშა საკომუნიკაციო საშუალებათა შემკრები ნაგებობა; 9. ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი ერთ-ერთი სრუტე; 11. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 12. დედალი ჯიხვი; 14. ირლანდიური ცეკვა; 16. ქართველ მამაკაცთა ძველებური თავსაბურველი; 17. რაიონული ცენტრი გურიაში; 19. ქერისა და ჭვავისგან მომზადებული უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 21. ნავსადგური უკრაინაში.

**თარაზულად**: 5. ჩინური ნავთობკომპანია; 6. ქალაქი ავსტრიაში; 7. ესპანელი მხატვარი; 10. პარაზიტი სოკოებით გამოწვეული დაავადება; 13. ფულის ერთეული ანგოლაში; 15. გულუბრყვილო, მიამიტი ქალების როლების შემსრულებელი მსახიობი თეატრში ძველად; 18. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 20. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 20. მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი საფრანგეთის აღმოსავლეთში; 23. ქალაქი სამცხე-ჯავახეთში; 24. სახელმწიფო ევროპაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სფინქსი; 2. კუპაჟი; 3. ხმელნიცკი; 4. აფრიკა; 5. სიმპათია; 7. ხოკუ; 11. გუანაკო; 13. სულგუნი; 15. მუყაო; 16. ძიუდო; 18. აპაში; 19. ბენცი.

**თარაზულად:** 6. ფრახტი; 8. ბულიმია; 9. ქარაგმა; 10. ქირურგი; 12. რიალი; 14. კახეთი; 17. კალმასობა; 20. გრაფიკა; 21. შაპიტო; 22. შვეცია; 23. პოტომაკი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჩოჩორი; 2. მალბორო; 3. ფოტოლიზი; 8. კურვუაზიე; 9. სინტოიზმი; 11. მირიანი; 12. დალი; 14. ერგი; 16. პლასტიკა; 17. კარტინგი; 19. ალიევი; 21. კოლიე.

**თარაზულად:** 5. ჯოკოვიჩი; 6. ელინისტი; 7. ბარსელონა; 10. ყინული; 13. დონორი; 15. ფლაიერი; 18. პლაზმა; 20. იუმორი; 22. პრიმატორი; 23. მკათათვე; 24. რისლინგი.

# „ვინმეს ხმა თუ მიგიწვდებათ, უთხარით, აუცილებლად უთხარით, რომ იმ პატარა ელენეს ძალიან უყვარს“ — გიო ხუციშვილის აქამდე უცნობი ისტორია

მომღერალ გიო ხუციშვილს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. ის სიმსივნეს ებრძვის. მომღერალს ელენე მარგალიტაშვილი გამოეხმაურა, რომელმაც 13-14 წლის წინანდელი აქამდე უცნობი ისტორია გაიხსენა:

— დაახლოებით 13-14 წლის წინ, როცა ინტერნეტი ახალი ხილი იყო და მეილიც ახალი გახსნილი მქონდა, ტევე იმედის ეთერში ვნახე, რომ საახალწლოდ „იმედის ექსპრესი“ იგეგმებოდა — უნდა გაგეგზავნა ყველაზე სანუკვარი ოცნება და ისინი შეეცდებოდნენ, ახალი წლის ღამეს აესრულებინათ. მამაჩემს სამსახური არ ჰქონდა და 13 თუ 14 წლის ელენეს ყველაზე დიდი ოცნება ის იყო, რომ მამამისს სამსახური ჰქონოდა. მაშინ ჩვეულებრივ ამბად მეჩვენებოდა ეს სურვილი. ახლა ვხვდები, რომ ჩვეულებრივი არ იყო.

თელავის ერთადერთ ინტერნეტკაფეში მივედი და „იმედს“ მივწერე. რა ეწერა, სიტყვასიტყვით მახსოვს, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვარ მზად ემოციურად, რომ გავასაჯაროვო. ერთ კვირაში პასუხი დამხვდა, საკონტაქტო ინფორმაციას მთხოვდნენ. მეგონა, რაღაც ავტომატური შეტყობინება იყო. დედაჩემის მობილური მაინც მივწერე. ეს იყო და ეს.

1-2 თვე გავიდა.

31 დეკემბერს დედაჩემის ნომერზე დარეკეს. მე ვუპასუხე. „იმედიდან“ ვართ და გთხოვთ, დღეს საახალწლო გადაცემას ბოლომდე უყუროთ. ჩემ გარდა არავინ იცოდა, რაც გავაკეთე. ძალიან ავნერვიულდი და, პირველ რიგში, დედაჩემსა და ჩემს დას ვუთხარი. მამაჩემთან მე არ მილაპარაკია, შემრცხვა, მომერიდა და ვინერვიულე. საბოლოო ჯამში, ყველა ახლობელმა გაიგო და დაიწყო უსასრულო ნერვიულობა და ლოდინი.

პირველი წამიდან ვუყურე, როგორ უსრულებდნენ სურვილებს ბავშვებს, რომლებმაც მისწერეს. ზოგს ძაღლი აჩუქეს, ზოგს — მობილური... ყველანაირმა სურვილმა გაიჟღერა. თითქმის ყველა მახსოვს. გადაცემა ინგა გრიგოლიასა და გიორგი თარგამაძეს მიჰყავდათ. ახალი წელი რომ დადგა და 1-2 საათიც გადასცდა, მეკვლეები გავაცილე და ყველა იმედი, რაც მაგ დღეს გამიჩნდა, დავკარგე.

გადაცემა დასასრულს მიუახლოვდა, მაგრამ არაფერი. მახსოვს, რომ იმედგაცრუების ცრემლები ყელში მქონდა გაჩხერილი. დასაძინებლად წავედი.

ემოციებისგან დაცლილი ვიყავი და, თვალები დავხუჭე თუ არა, ჩამეძინა. ინგასა და გიორგის ხმები ბუნდოვნად ჩამესმოდა. ყველას დაგვემშვიდობნენ. მერე უცებ დაიწყეს: „დღეს შევასრულეთ თითქმის ყველა სურვილი, გარდა ერთისა. მაგრამ ისე ვერ დაგემშვიდობებით, ეს წერილი რომ არ წაგიკითხოთ“... და დაიწყეს ჩემი მიწერილი სიტყვების კითხვა. მე ღრმად დარწმუნებული ვიყავი, რომ „ჩამყვა“ და მესიზმრებოდა. „ელენეს ოცნება ყველაზე განსაკუთრებული იყო და ყველას გულზე მოგვხვდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შევასრულეთ“, — დაასრულა ინგამ. ძილშიც კი გული ჩამწყდა.



ამ დროს მესმის მესამე ხმა, რომელიც ამ ორს აჩერებს.

გიო ხუციშვილის ხმა იყო. მაშინ „თელიანი ველში“ მუშაობდა. „მე მინდა, რომ ელენეს ოცნება ავასრულო. ელენეს მამა მოვიდეს ჩემთან თელავში და ჩათვალოს, რომ სამსახური აქვს“.

მე ისევ მეგონა, რომ მესიზმრებოდა და თვალები უფრო მაგრად დავხუჭე, მაგრამ ახლაც მახსოვს, გული როგორ მიცემდა.

უცებ ყვირილი და შეძახილები გავიგე და სახლის ტელეფონზე ზარებმა უსასრულოდ რეკვა დაიწყო. ოთახში ვიღაც შემოვიდა და მითხრა, რომ სასწრაფოდ უნდა გავსულიყავი. არ მახსოვს, ვინ იყო ან მერე რა მოხდა, იმიტომ, რომ ეგ დღეები რეალური არ მეგონა და სიზმარივით „დამავიწყდა“, მაგრამ ის მახსოვს, რომ გიომ თავისი სიტყვა შეასრულა და მამაჩემს მუშაობა მართლა დააწყებინა. მაშინ ჩემი ცხოვრება და კიდევ ბევრი რამე მთლიანად შეიცვალა.

პირადად არასოდეს შევხვედრივარ, მაგრამ იმ დღის შემდეგ გიოს ხმის გაგონება ჩემთვის რაღაც სხვა გრძნობებთან დაკავშირდა. თვითონ გიოც სხვანაირად ახლობელი და განსაკუთრებული გახდა.

არ ვიცი და არც მაინტერესებს, რა და როგორ იყო მაშინ გათვლილი პიარ-მარკეტინგულად. მე ის ვიცი, რომ გიოს ხმამ ჩემი ცხოვრება სამუდამოდ შეცვალა. მაშინ პირველად დავიჯერე და ვირწმუნე, რომ ოცნებები, რომლებსაც გულით ვინატრებდი, აუცილებლად ამიხდებოდა.

გუშინ აღმოვაჩინე, რომ ძალიან ცუდად არის და ალბათ ვერ შევძლებ გამოვხატო, როგორ განვიცადე და როგორ მინდა, რომ კარგად იყოს. და როგორ მინდა, რომ რამით დახმარება და იმ მადლობის რამით გადახდა შემეძლოს. ჰოდა, გადავწყვიტე, რომ თვითონ ამ ამბის მოყოლა ყველაზე კარგად იტყოდა ჩემს სათქმელს.

ვინმეს ხმა თუ მიგიწვდებათ, უთხარით, აუცილებლად უთხარით, რომ იმ პატარა ელენეს ძალიან უყვარს, სუპერგმირივით უყვარს. და რომ დიდ ელენესაც ძალიან უყვარს და ყველაზე დიდ მადლობას უხდის, რაც კი ოდესმე ვინმესთვის გადაუხდია.

მინდა, რომ ძალიან დიდხანს და ძალიან კარგად იყოს. ეს არის და ეს.

# მხოლოდ ქართულის ფინალისტები ცნობილია

მუსიკალურმა პროექტმა „მხოლოდ ქართული“ ფინალისტები დაასახელა და 6 კონკურსანტიდან 2 პროექტიდან გაუშვა.

კონსტანტინე კარანაძის, ალექსანდრე მრელაშვილის, სოფო ბათილაშვილის, საბა კემულარიას, გოგა გიორგელაშვილისა და ოთო კვალიაშვილის შემადგენლობით ნახევარფინალში კონკურსანტებმა 2-2 სიმღერა შეასრულეს.

მაყურებლისა და ჟიურის გადაწყვეტილებით, ამ საკონკურსო დღის ლიდერი სოფო ბათილაშვილი გახდა, პროექტი კი გოგა გიორგელაშვილმა და ოთო კვალიაშვილმა დატოვეს.

**გოგა გიორგელაშვილი:**

— კონკურსის წესები რთულია, მაგრამ, რას ვიზამთ, მინდა, მადლობა გადაგიხადოთ ყველას, ვინც მგულშემატკივრობდა დღემდე და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ადამიანები არსებობთ, ძალიან მიყვარხართ ყველა.

**ოთო კვალიაშვილი:**

— უღრმესი მადლობა ყველას, ძალიან, ძალიან მიყვარხართ.

შესაბამისად, „მხოლოდ ქართულის“ ფინალისტები გახდნენ სოფო ბათილაშვილი, საბა კემულარია, კონსტანტინე კარანაძე და ალექსანდრე მრელაშვილი.

# ანიტა რაჭველიშვილი მთავრობისგან პრადოების გაყიდვას მოითხოვს



ოპერის მომღერალი, ანიტა რაჭველიშვილი, საქართველოს მთავრობისგან ძვირადღირებული პრადოების გაყიდვასა და ამ თანხით მაღაროელებისთვის ხელფასების მომატებას მოთხოვს:

— საქართველოს მთავრობა! გაყიდეთ თქვენი პრადოები და მაღაროელებს ხელფასი მოუმატეთ! მათ უსაფრთხოებაზეც დახარჯეთ რამდენიმე მილიონი, რა იქნება?! ველოსიპედით რომ იაროთ, გეშინიათ, ხო?! ან მსუბუქი იაფფასიანი მანქანით?! ისე მოიქეცით მაშინ, რომ ბრონირებული მანქანები არ გჭირდებოდეთ! ნამუსი არ გაქვთ!

პ.ს. პარიზში ესკორტმა გაიარა გუშინ, ჩინოვნიკი გადაჰყავდათ და იცით, რით? ჩვეულებრივი რენოს სედანით!

# „იქს ფაქტორი“ პირველმა მონაწილემ დატოვა



მუსიკალური შოუ „იქს ფაქტორი“ პირდაპირ ეთერში პირველად გავიდა და პირველივე საკონკურსო დღეს 10 კონკურსანტიდან ერთ-ერთი პროექტს მიღმა დატოვა.

„იქს ფაქტორში“ წელს ბევრი სიახლეა. შოუს 7 წამყვანი ჰყავს: ვანიკო თარხნიშვილი, რუსკა მაყაშვილი, დუტა სხირტლაძე, ლიკა ქორქია, გია ჯაჯანიძე, გიგო შიუკაშვილი და იუმორისტი ვახო.

პროექტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, შოუს ხუთი მენტორი ჰყავს: ანრი ჯოხაძე, თამთა გოდუაძე, ნანიკო ხაზარაძე, დათო ევგენიძე და სტეფანე მღებრიშვილი. დათო ჯგუფების კატეგორიას ხელმძღვანელობს, თამთა — გოგონების, სტეფანე — ბიჭების, ნანიკო — 17 წლამდე ასაკის კონკურსანტების, ანრიმ კი ოთხივე მენტორის მიერ დაწუნებული კონკურსანტებიდან 2 რჩეული აიყვანა.

პირველი საკონკურსო ტურის შემდეგ „იქს ფაქტორში“ 29.333 ხმა შევიდა. ხმების უმრავლესობა, 14.61 პროცენტი, მარიამ შენგელიამ მიიღო, აუტსაიდერები კი გახდნენ ია ტომაში და ჯგუფი „ფანქი ჰაუს“. მენტორების გადაწყვეტილებით, პროექტი ჯგუფმა „ფანქი ჰაუსმა“ დატოვა და დათო ევგენიძე პროექტში გორის გოგონათა გუნდის ამარა დარჩა.

# ელისო ბოლქვაძე და სუხიშვილები ერთობლივ კონცერტს გამართავენ






იუნესკოს მშვიდობის არტისტი ელისო ბოლქვაძე და სუხიშვილები ბრიუსელში ერთობლივ კონცერტს გამართავენ. კონცერტი საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავს მიეძღვნება და ის ბოზარის არაჩვეულებრივ დარბაზში ჩატარდება.

საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავი სხვადასხვა კონცერტით აღინიშნება. ელისო ბოლქვაძემ პარიზში ანსამბლ „ბასიანთან“ ერთად კონცერტი იუნესკოს დიდ საკონფერენციო დარბაზში გამართა.

ივლისში კი პიანისტი კონცერტს უკვე ქართული ოპერის ვარსკვლავებთან და ნუცა შანშიაშვილთან ერთად კარნეგი ჰოლში გამართავს.

# საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესთვის საფოსტო მარკები გამოიცა

საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესთვის საფოსტო მარკები გამოიცა. მათი პრეზენტაცია ეროვნულ არქივში გაიმართა.

საიუბილეო მარკის შექმნის იდეა საქართველოს ეროვნულ არქივსა და საქართველოს ფოსტას ეკუთვნის. ღონისძიება იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გახსნა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკის პრეზენტაცია ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში პირველი რესპუბლიკის დაფუძნების უნიკალური დოკუმენტების დედნების გამოფენის ფონზე გაიმართა.

საფოსტო მარკების ესკიზები შეიქმნა თემაზე „საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე“. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი იყო სამი მარკა: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბი, რუკა და დროშა. საფოსტო მარკების ვიზუალი შეიქმნა საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული პირველი რესპუბლიკის უნიკალური დოკუმენტების და ფოტომასალის გამოყენებით. საბოლოოდ საქართველოს ფოსტის მიერ გამოცხადებული ღია კონკურსის შედეგად მარკების კომისიამ შეარჩია ბაადურ ქობლიანიძის მიერ შექმნილი მარკა.

პირველი ეროვნული ქართული საფოსტო მარკა გამოიცა 1919 წლის 26 მაისს. დამოუკიდებელ საქართველოში გამოდიოდა ქართული საფოსტო მარკები სხვადასხვა ვიზუალით. ყოველ მათგანზე გამოსახულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბი სხვადასხვა კომპოზიციაში. გარდა ამისა, ზოგიერთ მათგანზე გაკეთებულია წანაბეჭდები. ამ პერიოდში გამოცემული ქართული მარკები დიდ იშვიათობას წარმოადგენს.

საფოსტო მარკების გამოცემა შეწყდა 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. მართალია, საბჭოთა კავშირის დაშლამდე გამოდიოდა მარკები საქართველოს სიუჟეტებით და ქართველი მოღვაწეების გამოსახულებებით, მაგრამ არც ერთ მათგანზე არ იყო დატანილი წარწერა „საქართველო“ ან რაიმე მინაწერი ქართულ ენაზე. 1991 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, კვლავ აქტუალური გახდა ქართული ეროვნული მარკების გამოცემა, რადგან ეროვნული საფოსტო მარკა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ერთ-ერთი დამადასტურებელი ნიშანია.

ეროვნული საფოსტო მარკის გამოცემისთვის ღია კონკურსი ყოველწლიურად ტარდება. კონკურსი ხელს უწყობს ეროვნული საფოსტო მარკების გამოცემის შემდგომ განვითარებასა და პოპულარიზაციას. შედეგად, გამოიცემა საფოსტო მარკები ქვეყნის მნიშვნელოვანი მოვლენების, ღირსშესანიშნაობებისა და ცნობილ ქართველ მოღვაწეთა გამოსახულებით.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**



# თამუნა მუსერიძე და სანდრო მიკუჩაძე გოგონას მშობლები გახდნენ

რუსთაველის თეატრის მსახიობი სანდრო მიკუჩაძე და წამყვანი თამუნა მუსერიძე გოგონას მშობლები გახდნენ. პატარა სამშობიარო „ახალ სიცოცხლეში“ საკეისრო კვეთით დაიბადა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

თამუნამ და სანდრომ პატარას მარიანა დაარქვეს. ახლადდაბადებული გოგონა გულზე მამამ დაიწვინა და მისი ფოტოები მაშინვე ინტერნეტში გაავრცელა.

თამუნა მუსერიძისა და სანდრო მიკუჩაძისთვის ეს პირველი ერთობლივი შვილია. თამუნას წინა ქორწინებიდან ბიჭი, სანდრო, ხოლო სანდროს პირველი ქორწინებიდან გოგონა, ელენე, ჰყავს. ახალბედა მშობლებმა და მათმა პატარა გოგონამ უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღეს.

# კომედი ვუმენი ბათუმში ჩამოვიდა

ცნობილი იუმორისტული გუნდი კომედი ვუმენი ბათუმში კონცერტის ჩასატარებლად ჩამოვიდა. კომედი ქლაბის წარმატებული იუმორისტი ქალები ბათუმის ხელოვნების ცენტრში შეიკრიბნენ და იუმორის მოყვარულებისთვის საუკეთესო ნომრები წარმოადგინეს.

კომედი შოუს შემადგენლობა საქართველოში უკვე იმყოფებოდა. მათ კონცერტი თბილისში გამართეს, ქალმა იუმორისტებმა კი უპირატესობა ბათუმს მიანიჭეს და კონცერტის ჩასატარებლად სწორედ შავიზღვისპირეთი აირჩიეს.



# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**6 ივნისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4558

ევრო — 2.8794

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2854

100 რუსული რუბლი — 3.9656

## ამინდის პროგნოზი 6 ივნისისთვის




## სერია თანამედროვე რუსული ბესტსელერი

**18 მაისიდან** ვიქტორ სუვოროვი **აკვარიუმი**




ეს წიგნი რუსული გრუ-ს საიდუმლო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**25 მაისიდან**

დინა რუბინა

**პეტრუშკას სინდრომი**




„პეტრუშკას სინდრომი“ დინა რუბინას ყველაზე დრამატული რომანია. მისი ყოველი ახალი რომანი ბესტსელერია და გამოცემისთანავე ათეულობით ენაზე ითარგმნება.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**1 ივნისიდან**

ვიქტორ პელევინი

**სამი ცუკერბრინის სიყვარული**




ფეისბუქი, გუგლი, უკრაინა, მომხმარებლის კულტი, ტოლერანტობა, ტერორიზმი, იმ ტრენდებს შორისაა, რასაც წიგნი ეხება.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**8 ივნისიდან**

ევგენი ვოდოლაზკინი **ლავროსი**




სნეულთა განკურნების განსაცვიფრებელი უნარით დაჯილდოებული არსენი სიკვდილისგან ვერ იხსნის საყვარელ ქალს. სწორედ ეს იქცევა მისი ცხოვრების გარდამტეხ მომენტად.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**


## ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში




## სერია ნამდვილი დეტექტივი

**22 მაისიდან** ნაიო მარში **კაცი იწვა მკვდარი**




დეტექტივი როდერიკ ალეინი ინგლისის ერთ-ერთ რესპექტაბელურ სახლში „მკვლელობანას“ თამაშის დროს მომხდარ ნამდვილ მკვლელობას იძიებს. მსხვერპლი მონღოლური წარმოშობის რუსული სარიტუალო ხანჯლით არის მოკლული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**29 მაისიდან**

ანდრეა კამილერი **წყლის ფორმა**




ზღვისპირა იტალიური ქალაქის უმდიდრესი ადამიანი და არაფორმალური მმართველი პიკანტურ ვითარებაში იღუპება. ყველა დაინტერესებულია ამ საქმით, რომის პაპით დაწყებული, პროვინციელი მოსამართლით დასრულებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**5 ივნისიდან**

გილბერტ ჩესტერტონი

**მამა ბრაუნის სკანდალური ამბავი**




მამა ბრაუნი ჩია, პროვინციელი კათოლიკე მღვდელია, არც რამე სისტემა გააჩნია ჩახლართული დანაშაულების გასახსნელად. ბოროტმოქმედების მხილება მისი ჰობია, რაც ძალიან კარგად გამოსდის.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**12 ივნისიდან**

როს მაკდონალდი **შიში**




ოთხმაგი მკვლელობა. ოთხი გარდაცვლილი. პირველ მსხვერპლს დანარჩენებისგან წლები აშორებს, მაგრამ მკვლელობა ერთი პიროვნების ხელით ხდება. მკვლელის ვინაობას, რამდენიც უნდა ეცადოთ, ვერ გამოთვლით, მხოლოდ ბოლო გვერდზე ამოიკითხავთ და გაოცდებით.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## ლორის კარიუსი ჩემპიონთა ლიგის ფინალს ტვინის შერყევით თამაშობდა




ლივერპულის მეკარე ლორის კარიუსმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში ძალიან უხეში შეცდომები დაუშვა, რის შემდეგაც მისი გუნდი დამარცხდა.

როგორც აღმოჩნდა, კარიუსმა სერხიო რამოსთან შეჯახების დროს ტვინის შერყევა მიიღო და შეცდომებიც ამის შედეგი იყო.

გერმანელმა მეკარემ რამდენიმე დღის წინ თავის ტკივილის გამო ერთ-ერთ კლინიკას მიაკითხა, სადაც მას ტვინის შერყევის დიაგნოზი დაუსვეს.

ამ ინფორმაციის შემდეგ ლივერპულის ფანების ნაწილი, სავარაუდოდ, აპატიებს კარიუსს დაშვებულ შეცდომებს, თუმცა ლივერპული მაინც ახალ მეკარეს ეძებს.

## იაია ტურემ ხოსეპ გვარდიოლა გააკრიტიკა






მანჩესტერ სიტის ყოფილმა ფეხბურთელმა იაია ტურემ საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ ფრანგულ გამოცემას, სადაც მან ხოსეპ გვარდიოლა გააკრიტიკა.

ტურეს თქმით, გვარდიოლას არ უყვარს ისეთი ფეხბურთელები, რომლებსაც ავტორიტეტი აქვთ და გვარდიოლასთვის ყველა მოთამაშე, პირველ რიგში, მისი ყურმოჭრილი მონა უნდა იყოს. ტურეს აზრით, გვარდიოლასთან მუშაობა იოლი არ არის:

— გვარდიოლას მხოლოდ ისეთი ფეხბურთელები სჭირდება, რომლებიც მას ფეხებს დაუკოცნიან და არასოდეს შეეკამათებიან. მე ასეთი არ ვარ და ამის გამო ამითვალწუნა. მინდოდა, სხვანაირად წავსულიყავი, მაგრამ გვარდიოლამ ყველაფერი გააფუჭა. ის, უბრალოდ, ეგოისტია, რომელიც მხოლოდ საკუთარ მიღწევებზე ფიქრობს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი



ტურისტი რომის კოლიზეუმს ათვალიერებს და ბოლოს გიდს ეკითხება:

— ეს რომელი საფეხბურთო მატჩის შემდეგ დაანგრიეს?

•••

მთავრობის მეთაური თანაშემწესთან ერთად ერთ-ერთი რაიონის სკოლას მოინახულებს და პრობლემებით დაინტერესდება. დირექტორი ეუბნება:

— სკოლის შენობა ავარიულია, შეკეთება ესაჭიროება, თორემ ჩამოინგრევა. ბავშვებს კომპიუტერი თვალითაც არ აქვთ ნანახი, კომპიუტერული კლასის ორგანიზებაა საჭირო, მაგრამ სკოლას ამის თანხები არ გააჩნია. თქვენი დახმარების იმედი გვაქვს.

— სამწუხაროდ, ახლა ვერაფრით დაგეხმარებით, ქვეყანა ეკონომიურ კრიზისშია, თუმცა თქვენი თხოვნა უყურადღებოდ არ დარჩება და როგორც კი საშუალება მოგვეცემა, დაგეხმარებით.

ამის შემდეგ მთავრობის მეთაური ციხეს ესტუმრა. ციხის უფროსმა პრობლემებზე მოახსენა. მთავრობის მეთაური თანაშემწეს მიმართავს:

— გიბრძანებთ, უმოკლეს დროში აღმოფხვრათ საკნების გადავსების პრობლემა, რომ ყველა საკანში იყოს ტელევიზორი და ყველა პატიმარს ჰქონდეს კომპიუტერი!

საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ თანაშემწე მთავრობის მეთაურს ეკითხება:

— კი მაგრამ, რატომ უთხარით უარი სკოლის დირექტორს დახმარებაზე, ხოლო ციხის უფროს დახმარებას დაჰპირდით?

— იცი რა, დამეთანხმები, რომ მე და შენ სკოლაში აღარ დაგვაბრუნებენ...

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

— რა განსხვავებაა ქმარსა და ბავშვს შორის?

— პრინციპში, არანაირი, თუმცა ბავშვის ძიძასთან მარტო დატოვება მაინც შეიძლება, აი ქმრის კი...

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. თავდავიწყებამდე მისული, უკიდურესი აღფრთოვანება, აღტყინება; 2. იაპონური მაგიდის ლოგიკური სათამაშო; 3. საგანთა, მოვლენათა ან თვისებათა ერთობლიობა; 4. კავკასიის ალპურ ზონაში გავრცელებული გარეული ინდაური; 5. აეროპორტი მილანში; 7. გერმანული მსუბუქი ავტომობილი; 11. რაიონული ცენტრი სვანეთში; 13. გურიაში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 15. მოედანი პარიზში, სადაც ტარდებოდა სიკვდილით სასჯელი დასჯა; 16. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი; 18. ფეთქებადი ჭურვი; 19. უძველესი ებრაული სახელმწიფო.

**თარაზულად:** 6. თანამდებობის პირის მოსასყიდად გაცემული თანხა; 8. სამშობიარო სახლი ძველად საქართველოში; 9. ძველებური ქართული ვერცხლის ფული; 10. მღვდელმთავართა საერთო სახელწოდება; 12. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 14. ამერიკელი ესტრადის მომღერალი მამაკაცი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 17. ეკონომიკის დაქვეითება, კრიზისი; 20. მოხარშული ყველის გულიანი ხაჭაპური; 21. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 22. სატუსაღო ძველ თბილისში; 23. ოპერა „აიდას“ პერსონაჟი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

